დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარინე ჯანაშვილი

წევრები:

1. ნინო გედეხაური;
2. ირმა ქურდაძე;
3. ნიკა უთალიშვილი;
4. თაია მამარდაშვილი;
5. ხათუნა ნანობაშვილი;
6. ელიზა კუკავა;
7. მზევინარ მჟავანაძე;
8. ხათუნა გერგაია;
9. ქეთევან ბორაშვილი;
10. ნათია კურტანიძე.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230058898

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ზესტაფონი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ზესტაფონი, აკაკი წერეთლის ქ N4
საფოსტო ინდექსი	2000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლის პორტალი https://skolebi-admin.emis.ge/dashboard
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zestaponi2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577319309

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 11 თებერვლის MES 0 26 0000150605 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №2 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ.

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 19-20 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, აკაკი წერეთლის ქ N4, 1 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, აკაკი წერეთლის ქ N4, 1 შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, აკაკი წერეთლის ქ N4, 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19-20 მარტს (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 11 თებერვლის MES 0 26 0000150605 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №2 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ.).

ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა 11 ექსპერტით, მათ შორის 2 ზოგადი განათლების ხარისხის და 9 საგნობრივი ჯგუფის ექსპერტით.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტების მიერ ადგილზე განხორციელდა შენობის ვიზუალური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

სკოლაში იყო თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის მასწავლებლებთან, დირექციასთან ურთიერთობისას ნათლად ჩანდა მათი პროფესიული კოლეგიალურობა და ეთიკა. ჩანდა, რომ ავტორიზაციის პროცესისთვის მთელი სასკოლო საზოგადოება იყო მობილიზებული და კათედრის წევრთა შორის, ასევე კათედრათა შორის თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება სკოლისთვის ჩვეული პრაქტიკაა. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის ჯგუფთან თანამშრომლობისთვის, როგორც მათ მიერ მომზადებული დოკუმენტაციით, ასევე ადგილზე უშუალო კომუნიკაციის პროცესში. ავტორიზაციის გუნდს, სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო მშვიდ და საქმიან გარემოში.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს და დამატებით დოკუმენტაციას. ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის შემდეგ, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა, რომლის შესწავლა დისტანციურად განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ყველა სგნობრივი ჯგუფის ექსპერტი ამოწმებდა საგნობრივ კურიკულუმებს.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გავესაუბრეთ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის ბოლოს მოხდა შეჯამება და მიგნებების სკოლისათვის გაცნობა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლას ბევრი საინტერესო პროექტი აქვს განხორციელებული. მათ შორის, განსაკუთრებულად აღსანიშნავია პროექტები ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ერთ-ერთი მასშტაბური პროექტის სახელწოდებაა - „ჩემი უფლებაა“ .

პროექტის მიზანი იყო, ხელი შეეწყოთ სისტემური გადაწყვეტილებების მიღებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის, ასევე, კადრების მომზადება-თერაპევტების, მასწავლებლების გადამზადება და სასწავლო მეთოდოლოგიური მასალების შემუშავება.

პროექტის ფარგლებში, ზესტაფონის #2 საჯარო სკოლის მასწავლებლები გაცნენ ინკლუზიური განათლების პრინციპებს და სიახლეებს ამ მიმართულებით. შეხვედრა განხორციელდა პროექტში ჩართულ „*ორიონი*“-ს დღის ცენტრის 10 თერაპევტთან და ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის 10 მოხალისე პედაგოგთან.

პროექტის „*ჩემი უფლებაა*“ ფარგლებში, პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ტჩევის საგანმანათლებლო ასოციაციის წარმომადგენლები ესტუმრნენ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლას, სადაც გაეცნენ არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემას და ინკლუზიური განათლების სპეციფიკას.

ვიზიტის მიზანი იყო შშმ ბავშვებთან მუშაობის თანამედროვე მეთოდების გაცნობა და მასწავლებელთა გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით: AAC სისტემა, ინდივიდუალური გეგმები, სენსორული და მრავალაღქმითი თერაპია და მოტორული გაჯანსაღება.

პოლონეთის ქ. ტჩევში გამართულ საერთაშორისო სპეციალურ თეატრალურ ფესტივალზე „არაჩვეულებრივი თეატრი“ ქ. ზესტაფონის #2 საჯარო სკოლის წარმომადგენლებმა გაცვლით პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა. 10 ქვეყნიდან 26 ჯგუფს შორის მათ წარმოადგინეს სპექტაკლი „ამბავი ყვავილზე“ (ჩართული იყო 5 სსსმ მოსწავლე) და დაჯილდოვდნენ ტჩევის საკრებულოს პრიზით.

პროექტი „ჩემი უფლებაა“ ფარგლებში, სკოლის ბაზაზე ჩატარდა კვლევა 5 სსსმ მოსწავლეზე, სადაც გამოყენებულ იქნა პროექტის მიმდინარეობისას შესწავლილი თომატის თეორია . შეფასდა მისი გავლენა კოგნიტურ და მოტორულ უნარებზე. ამავე პროექტის ფარგლებში, გამოიცა სახელმძღვანელო „ჩემი უფლებაა“, რომელიც მოიცავს პოლონელი და ქართველი თერაპევტების საგანმანათლებლო პროგრამების ნიმუშებს და მეთოდოლოგიას. წიგნის ერთ-ერთი თანაავტორია სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებელი. ნაშრომი შეიქმნა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

სკოლის სპეციალური მასწავლებელი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ლიეტუვის ქ. ტაურაგეში, „Pusele“-ს სარეაბილიტაციო ცენტრსა და სკოლაში, სადაც გაეცნო მონტესორის თერაპიულ მიდგომებს.

2022 წლის 25 მარტს ღონისძიებათა ციკლის „გემრიელი დღეები თანაკლასელებთან ერთად“ ფარგლებში გაიმართა პრეზენტაცია და გაიხსნა შშმ პირებისთვის **ადაპტირებული სამზარეულო.** ჩატარდა კულინარიული აქტივობა, სადაც ბენეფიციარებმა და მოსწავლეებმა ერთად მოამზადეს ტკბილეული.

2022 წლის დეკემბერში სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლაში ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებთან განხილულ იქნა შშმ პირთა უფლებები და დაიგეგმა პროექტი „ერთმანეთის მხარდამხარ“, რომლის ფარგლებში ცენტრში „ორიონი“ ერთობლივად დაამზადეს საახალწლო ნაძვი.

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა აქტიურად თანამშრომლობს დღის ცენტრ „ორიონთან“. თანამშრომლობის ფარგლებში ზესტაფონის დრამატულ თეატრში გაიმართა სპექტაკლის „მოლოდინი“ პრემიერა, სადაც მონაწილეობდნენ „ორიონის“ ბენეფიციარები, მათი მშობლები და სკოლის მოსწავლეები სპეციალური პედაგოგების მხარდაჭერით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

2.1.2.4		**სპორტი** **რჩევა:** სასურველია კურიკულუმშიც შეიტანოთ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე რომლებსაც ახორციელებთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე.
2.1.2.2.		**რჩევა: ესთეტიკური აღზრდა** სასურველია კურიკულუმებში გაიმიჯნოს ერთმანეთისგან **„საკითხების“** და **„კონტექსტ მაგალითების“** გრაფები.
2.1.2.2.		***მათემატიკა*** ***რჩევა:*** სასურველია: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.
2.1.2.4.		**უცხო ენები** **რჩევა:** სასურველია კათედრამ განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები (კლუბი, წრე, ინტეგრირებული პროექტები. და სხვ.), რაც დაეხმარება მოსწავლეებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი.
2.1.2.5		**ესთეთიკური აღზრდა** **რჩევა** • დაწყებით საფეხურზე **განმავითარებელი შეფასების** დროს, აღწერილობითი უკუკავშირი იყოს ჩამოყალიბებული

		მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე(არ იქნას გამოყენებული ისეთი ფრაზები როგორიცაა: „გაანალიზე“, „კომპიუტერული პლატფორმა“, „ოპერირება“ და ა.შ.); • უკუკავშირი იყოს ქვეცნებებზე დამიზნებული, ქმედითი და არ ატარებდეს განზოგადებულ ხასიათს; • მოსწავლისთვის მიცემული „რჩევა“ მკაფიოდ უნდა აკონკრეტებდეს მის მიერ განსახორციელებული სამუშაოს ფორმას, შინაარს ან/და თანმიმდევრობას(აღნიშნული ეხება მხოლოდ ზოგიერთი განმავითარებელი უკუკავშირის ნიმუშს);
2.2.2.2.		**ესთეთიკური აღზრდა** **რჩევა:** სასწავლო წლის ბოლოს მნიშვნელოვანია კათედრის დონეზე, კოლეგების ჩართულობით შეირჩეს/გადაიხედოს და დამტკიცდეს ყველა ის სასწავლო მიზნის მქონე დამხმარე რესურსი, რაც ეფექტურად იქნება გამოყენებული შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო პროცესში;

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
2.1.2.4		**სპორტი** **რჩევა:** სასურველია კურიკულუმშიც შეიტანოთ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე რომლებსაც ახორციელებთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე.
2.1.2.2.		**ესთეთიკური აღზრდა** **რჩევა:** მასწავლებლებს ვურჩევდი კურიკულუმებში გაემიჯნათ ერთმანეთისგან **„საკითხების“** და **„კონტექსტ მაგალითების“** გრაფები.
2.1.2.2.		*მათემატიკა* *რჩევა:* სასურველია: საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.
2.1.2.4.		**უცხო ენა** **რჩევა:** სასურველია კათედრამ განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები (კლუბი, წრე, ინტეგრირებული პროექტები. და სხვ.), რაც დაეხმარება მოსწავლეებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი.

2.1.2.5		**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა** • **განმსაზღვრელი შეფასების** რუბრიკებში შეეცადეთ მკაფიოდ ჩაშალოთ თითოეული კრიტერიუმის ქულა, კერძოდ, კრიტერიუმის კომპონენტებთან მიმართებით რა პრინციპით ნაწილდება მაგ.-3 ქულა .
2.2.2.2		**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სასწავლო წლის ბოლოს მნიშვნელოვანია კათედრის დონეზე, კოლეგების ჩართულობით შეირჩეს/გადაიხედოს და დამტკიცდეს ყველა ის სასწავლო მიზნის მქონე დამხმარე რესურსი, რაც ეფექტურად იქნება გამოყენებული შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო პროცესში;

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *საშუალო საფეხურის* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
2.1.2.4		*სპორტი:*

		რჩევა: სასურველია კურიკულუმშიც შეიტანოთ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე რომლებსაც ახორციელებთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა)
2.1.2.2.		***ესთეტიკური აღზრდა*** **რჩევა:** მასწავლებლებს ვურჩევდი კურიკულუმებში გაემიჯნათ ერთმანეთისგან **„საკითხების“** და **„კონტექსტ მაგალითების“** გრაფები.
2.1.2.2.		***მათემატიკა*** **რჩევა:** სასურველია: საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.
2.1.2.4		**უცხო ენები** **რჩევა:** სასურველია კათედრამ განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები (კლუბი, წრე, ინტეგრირებული პროექტები. და სხვ.), რაც დაეხმარება მოსწავლეებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი.

2.1.2.5		**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა** • **განმსაზღვრელი შეფასების** რუბრიკებში შეეცადეთ მკაფიოდ ჩაშალოთ თითოეული კრიტერიუმის ქულა, კერძოდ, კრიტერიუმის კომპონენტებთან მიმართებით რა პრინციპით ნაწილდება.
2.2.2.2.		**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სასწავლო წლის ბოლოს მნიშვნელოვანია კათედრის დონეზე, კოლეგების ჩართულობით შეირჩეს/გადაიხედოს და დამტკიცდეს ყველა ის სასწავლო მიზნის მქონე დამხმარე რესურსი, რაც ეფექტურად იქნება გამოყენებული შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო პროცესში;

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლა MES 9 26 0000412720 წერილით ეთანხმება, საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტს და სრულად იზიარებს მასში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს.

დასკვნის პროექტის შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2027 წლის 25 იანვრამდე, უზრუნველეყო უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ

(მდგრადობა) დასკვნის მიღება. წერილით სკოლამ გვაცნობა, რომ უკვე უზრუნველყო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (მდგრადობა) დასკვნის მიღება, რომელიც გამოგზავნა დანართის სახით. შესაბამისად 3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია და ოთხივე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სსიპ ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლის მისიისა და ხედვის ორიგინალობას ქმნის მისი საზოგადოების, თემის სპეციფიკა, ის გამოწვევები და ღირებულებები, რაც მის კულტურას აყალიბებს. მთვარი საკვანძო ორინეტირები, რაზეც მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებისას კონცენტრირდება სკოლა, მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა: სასკოლო თემი, უსაფრთხოება, წარმატება, პოტენციალი, უნარები და შეაძლებლობები, მსოფლმხეველობა, მიღწევა, გრძელვადიანი მიზნები, უწყვეტობა

   სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების (ადმინისტრაცია მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები) აქტიური ჩართულობით. მისია ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებს და მიზნად ისახავს მოაზროვნე, მაძიებელი, ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარების , ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზრდას.

   სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ხედვა. სკოლის ხედვაა: შექმნას განათლების მიღების ისეთი გარემო და რესურსები, რომლის საშუალებითაც თანამედროვე ახალგაზრდა შეძლებს დაეუფლოს 21-ე საუკუნეში საჭირო ყველა უნარს და საგნობრივ კომპტენციას. სკოლაში დანერგოს თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი, რაც 7 წლის შემდეგ, სკოლის კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტს, მისცემს შესაძლებლობებს იყოს ეროვნული და საერთაშორისო დონის პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასაბარებლად საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი. სკოლის მისია და ხედვა წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს

   სკოლის ხედვა წარმოადგენს მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზაციის გზას და ხედვა გამომდინარეობს მისიიდან. ის, ასევე, წარმოადგენს შუა რგოლს მისიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის. სკოლის ხედვა წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის

შემუშავების ძირითად ორიენტირს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას კარგად აქვს შესწავლილი სასკოლო თემის და საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები. სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი საზოგადოებრივი და თემის პრობლემების გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს. სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები, როგორიცაა არაფორმალური განათლების მექანიზმები, პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების ხედვა და მექანიზმი, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა. სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლისთვის აქტუალურია თანამშრომლობა, გაზიარება, ანგარიშგება, ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა, კულტურატაშორისი დიალოგი, გამჭოლი პრიორიტეტების აქცენტირება. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლა ქმნის უსაფრთხო გარემოს, რისთვისაც აქვს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი დამცავი საშუალებები. სკოლას ემსახურება მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში მოსწავლეების უსაფრთხოებას. დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები. დამრიგებლები შესვენებების დროს იმყოფებიან საკუთარ კლასებთან. ადმინისტრაცია ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე, განვითარებასა და ერთმანეთთან მშვიდობიან თანაარსებობაზე. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით, სკოლის საჯარო სივრცეში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინვენტარით- მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მერხებით, დაფებით. სკოლს აქვს მოწესრიგებული ეზო. სკოლის ყველა სივრცე უზრუნველყოფილია ინტერნეტით, აქვს მოწესრიგებული სველი წერტილები, გათბობის სისტემა, ადაპტირებული გარემო. ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და

რესურსით. კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით, სპორტული სივრცით სარგებლობა შეუძლია ყველა დაინტერესებული პირს. სკოლაში არის ურთიერთ თანამშრომლობითი კულტურა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლას მკაფიოდ აქვს გააზრებული და ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომლითაც არეგულირებს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებას. სასკოლო საზოგადოება: ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, სამეურვეო საბჭო, თემის წარმომადგენლები, სკოლის პარტნიორი დაწესებულებები - ყველა აქტიურად არის ჩართული შემუშავების პროცესში.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი). სკოლის თითოეული რგოლი ღიად და გამჭვირვალედ უზიარებდა ერთმანეთს შეხედულებებს და ერთობლივად მონაწილებდნენ გადაწყვეტილებების მიღებაში. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი,რომელიც წარედგინა დირექტორს და დირექტორის წარდგინებით საბოლოო სახით ჩამოყალიბდა პედაგოგიურ საბჭოზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამისათვის სკოლა იყენებს სხვადასხვა ფორმას და მისთვის რელევანტურ საშუალებებს, როგორიცაა სკოლის ვებ გვერდი, საზიარო ღრუბლოვანი სერვისები, სასკოლო მატერიალური სივრცე, საკომუნიკაციო არხები, რომელსაც სკოლა იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის. და ა.შ. სასკოლო საზოგადოებას აქვს

მიკუთვნების, თანაშემოქმედობითობის განცდა. მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და კონსენსუსით. მისიის ხედვის და ღირებულებების გაცნობა მოხდა მასწავლებლებისათვის პედაგოგიურ საბჭოზე და ასევე სამეურვეო საბჭოზე მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლებისათვის. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს მშობელთა კრებაზე სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები მისაღებია დაინტერესებული მხარეებისათვის. სკოლის მისია და ხედვა გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის სოციალურ ქსელსა და ვებ გვერდზე, ასევე, დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა“, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის #448 დადგენილებით და იგი როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო კონტროლით, დამოუკიდებლად ახორციელებს სტატუსის შესაბამის საგანმანათლებლო და სხვა საჯარო საქმიანობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა

დანართი N2 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

დანართი N3 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

დანართი N4 დამრიგებლის მუშაობის დებულება
დანართი N5 სამეურვეო საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე
დანართი N6 პედაგოგიური საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე
დანართი N7 სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
დანართი N8 დამრიგებლის კრების ოქმი ფილოსოფიის გაცნობაზე
დანართი N9 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.(ფილოსოფია)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას, მისიასა და ხედვაზე დაფუძნებით, შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა. სკოლას აქვს საკუთარი მეთოდოლოგია და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს ამ მეთოდოლოგიის მიხედვით წარმართავს.

სკოლას აქვს ერთიანი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც ფარავს როგორც მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება-გაზიარების საკითხებს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-მონიტორინგი-შეფასების თემებს. ასევე, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც.

სტრატეგიული დაგეგმვა წარმოდგენილია, როგორც ციკლი, რომელიც იწყება გეგმების შემუშავებით, შემდეგ, სკოლის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება ამ გეგმების მონიტორინგი და შეფასება, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შედის ცვლილებები გეგმებში და ციკლის დასასრულს იწყება მზადება ახალი გეგმების შედგენისთვის. სკოლა სტრატეგიული განვითრებისა და სამოქმედო გეგმებს შეიმუშავებს ,,სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ მიხედვით. მეთოდოლოგიით განისაზღვრა: სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები (თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, და ანგარიშვალდებულება), სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას და მჭიდრო კავშირი აქვს სკოლის ხედვასთან. სტრატეგიული გეგმა წარმოდგენილია, როგორც ამ სასურველ მდგომარეობასთან მისვლის გზა. სტრატეგიული დაგეგმვის შერჩეული მეთოდოლოგიაა SWOT ანალიზი, სადაც სკოლას გააზრებული აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ,,სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები სრულადაა ასახული სტრატეგიულ გეგმაში. ასევე განისაზღვრა მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია ერთი წლისთვის და უფრო კონკრეტულია, ვიდრე სტრატეგიული გეგმა. მასში თავმოყრილია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაშია შესასრულებელი. სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი ემთხვევა სასწავლო წელს.
 სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ამოსულია სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ასევე, გათვალისწინებულია ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები, თვითშეფასება ძალიან კარგად ავლენს იმ გამოწვევებს, რომლებიც მიმდინარე პერიოდში დგას სკოლის წინაშე. შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში უნდა იკითხება, როგორ ხდება იდენტიფიცირებული გამოწვევების გადაჭრა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის სამოქმედო გეგმაში ნათლად არის გაწერილი ამოცანები, გაზომვადი ინდიკატორები. კონკრეტულ აქტივობაზე განსაზღვრული პირები და მათი ფუნქციები-სამუშაო აღწერილობები არის ურთიერთდაკავშირებული. სამოქმედო გეგმაში კონკრეტულ აქტივობაზე გაწერილმა პირებმა იციან მასზე გაწერილი დავალების არსი, რაც გამოიკვეთა ვიზიტის პროცესში ინტერვიურებით, გამოცემული ბრძანებით და სხვა მტკიცებულებებით, რაც ადასტურებს, რომ გეგმები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის რეალისტურობას. მიმდინარე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზებია მოცემული. მასში სტრატეგიული გეგმის საკითხების გათვალისწინებით, გაიწერილია სტრატეგიული მიზნების და ამოცანები მისი შესაბამისი აქტივობები. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები, რეალისტური ვადები, შესრულების ინდიკატორები ასევე ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები რომლებიც სკოლის შესაძლებლობებშია და საჭიროა მოცემული ამოცანების შესასრულებლად. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ჩაერთულია მთელი სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N7 სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
დანართი N11 შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
დანართი N12 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
დანართი N32 სამეურვეო საბჭოს ოქმი (სტრატეგიულ დაგეგმვაზე)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა აღწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობის შეფასებისა და მონიტორინგისათვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, მოსწავლეთა მშობლები და სხვა). მონიტორინგი განხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს, მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ მტკიცებულებებით. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის

შემდეგ (შემაჯამებელი) ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშს. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს შესრულებულ აქტივობებზე დაკვირვების შედეგების გაანალიზებას და შეფასებას. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით (კითხვარები, გამოკითხვები, პირადი საუბრები და სხვა). სამუშაო ჯგუფი იყენებს გამოკითხვას სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის, ასევე, წარმოადგენს შუალედურ/საბოლოო დასკვნას, შეფასებას და ანალიზს სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სასწავლო წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) სკოლის დირექტორის შემაჯამებელ ანგარიშში ასახული იქნება სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სამოქმედო გეგმის შედეგები ცნობილი და გაზიარებულია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, სამოქმედო გეგმების შედეგები საჯაროა. იგი ქვეყნდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები ეცნობება სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლისთვის სტრატეგიული განვითარება ციკლური პროცესია, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების და მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების შესრულებულ სამუშაოთა ანალიზი, ძირითადი ტენდენციების გათვალისწინება, რაც შემდეგში აისახება სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის, აქტივობების და პრიორიტეტების დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N7 სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

დანართი N13 სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის ანგარიშის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლაში ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისა და პერსონალის სამუშაო პროცესის გადანაწილების დროს გათვალისწინებულია სკოლის მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები.

   სკოლს პერსონალის სამუშაო აღწერილობები არეგულირებს მათი მოქმედების არეალს, ფუნქციურ დატვირთვას და ანგარიშვალდებულებას, სამუშაო აღწერილობა ნაწილია შრომის ხელშეკრულებისა. სამუშაო აღწერილობა არის დეტალური, ნათელი განმარტებებით და მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც დამსაქმებელსა და დასაქმებულის ურთიერთობას ეხება. სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხისმგებლობის ეფექტური საშუალებაა. წესდებით განსაზღვრული ორგანიზაციის სტრუქტურის სავალდებულო რგოლებია: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, კათედრები. ორგანიზაციის თითოეული წარმომადგენელი გაცნობილია სკოლის მიერ დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობას (თანამდებობრივი ინსტრუქციები) რომელიც განსაზღვრავს იერარქიულ სტრუქტურას და მკაფიოდაა გაწერილი პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. დოკუმენტი ხელმისაწვდომია თითოეული თანამშრომლისათვის.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლს ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. სამოქმედო გეგმაში სკოლს ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი საჭირო ადამიანური რესურსი ფუნქციების შესაბამისად არის განსაზღვრული. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გამიჯნულია ერთმანეთისაგან, ყველა მათგანი მოქმედებს დამოუკიდებლად, მაგრამ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ამით ხელს უწყობენ სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინირებული მუშაობა ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სკოლის სამოქმედო გეგმაში სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ფუნქციების შესაბამისადაა განსაზღვრული. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N7 სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

დანართი N12 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

დანართი N14 სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები

დანართი N25 -სტუქტურა(ორგანოგრამა)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესის განხორციელებისას, დაწესებულება ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით. ის გამომდინარეობს სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმიდან და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომი და გაზიარებულია დაინტერესებული პირებისთვის.

სკოლამ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შექმნა შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი თანხვედრაშია პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან, სკოლის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციასა და საქართველოს შრომის კოდექსთან. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გაცნობას. სკოლში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

პერსონალის მართვის პროცესები სკოლაში უკავშირდება, როგორც მასწავლებლებს, ასევე ნებისმიერ სხვა დასაქმებულ პირებს. სკოლის ძირითადი ფუნქციის-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და მოსწავლეთა მიღწევების შედეგების გაუმჯობესება უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის კარგად დაგეგმილ სისტემასთან. ამისათვის სკოლაში დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადამიანური რესურსის მართვის პროცესების ეფექტურად წარმართვა, შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. მასში გაწერილია შემდეგი საკითხები: კადრების მოზიდვა და შერჩევა, კონკურსის გამოცხადება და ეტაპები, პერსონალის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს

შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება და სხვა. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტის და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული შინაგანაწესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

პერსონალის პრევენციული და ინტევენციული მართვისთვის მნიშვნელოვანია სკოლა ახორციელებს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების საჭიროების პროგნოზირება იწყება მოთხოვნის დადგენით. მოთხოვნა ჩნდება შიდა გადაადგილების, კადრების გადინების, კანონმდებლობის ცვლილების, არასაკმარისი კომპეტენციის და სხვა შემთხვევებში. პროგნოზირების შემდეგ განისაზღვრება სამუშაო ძალის მიწოდების წყარო, მოხდება საჭირო პოზიციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება შიდა გადაადგილებით (ფუნქციის დაკისრება, გადაყვანა ახალ პოზიციაზე), თუ საჭირო კადრის გარედან მოზიდვა. ვაკანტური ადგილის შემთხვევაში ცხადდება შიდა და გარე კონკურსი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალის ინტერვენციული მართვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით, მაგალითად დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში თუ როგორ უზრუნველყოფს სკოლა თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირებას. სკოლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის ფუნქციებს ახორციელებს, დირექტორის მოადგილე, რომელიც ასევე რეგისტრირებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და სათანადო კვალიფიკაციის კანდიდატის შერჩევის მიზნით ობიექტურობის, გამჭვირვალობის და საჯაროობის გათვალისწინებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი თანამშრომელთა შერჩევის წესი. სკოლა ვაკანსიის შემთხვევაში აქვეყნებს განაცხადს www.teachers.ge ან www.hr.gov.ge. კონკურსანტის შერჩევა მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. საბოლოო ჯამში კანდიდატთან რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ფორმდება ხელშეკრულება, საწყის ეტაპზე გამოსაცდელი ვადით. შერჩეული კადრი ვალდებულია სკოლაში წარმოადგინოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ცნობები (ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ"). სკოლაში ახალი თანამშრომლის შერჩევა ხდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, საჯაროობის, კოლეგიალობის და კორექტულობის პრინციპებზე დაყრდნობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლაში არიან უფროსი, წამყვანი, მენტორი და ა. შ. მაღალკვალფიციური კადრები. ეს სასკოლო საზოგადობას უჩენს ნდობის, მიკუთვნებულობის განცდას. პერსონალისთვის წაყენებული მოთხოვნები მკაფიოდაა გაწერილი სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" და ,,სამუშაო აღწერილობა", რომლებიც შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს. ბოლო წლებში სკოლაში დასაქმდა რამდენიმე ახალი თანამშრომელი, რომელთა შერჩევა მოხდა ზემოთ აღნიშნული წესების გათვალისწინებით. სკოლაში უზრუნველყოფილია შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სწავლა-სწავლების პროცესი თანამშრომლების ჩართულობითა და გუნდური მუშაობის პრინციპით მიმდინარეობს, ყველა ღონისძიება თუ აქტივობა ეფუძნება თანამშრომელთა და კათედრების ჩართულობას. სკოლის სტრუქტურული რგოლები ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებენ. ამის მაგალითია პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს საქმიანობა. სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე აქტიურადაა ჩართული მოსწავლეთა თვითმართველობა, ისგ-ს ჯგუფი და ასე შემდეგ. სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი შეთანხმებულად მოქმედებენ საჭირო საკითხების გადაწყვეტის პროცესში. გუნდური მუშაობა ჩვენი სკოლის წარმატებების მნიშვნელოვანი კომპონენტია

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

წარმატებული გამოცდილების გაზიარებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში, იგი მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის და პროფესიული დახელოვნების მოტივაციას, წარმატებული შემთხვევების განხილვა-გაზიარება საშუალებას აძლევს კოლეგებს არამხოლოდ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დაინახონ მათ წინაშე მდგარი პრობლემების ალტერნატივები, არამედ მოტივირდნენ პოზიტიური უკუკავშირითა და აღიარებით. სკოლას ყავს დიდი გამოცდილების მქონე კადრები, რომლებიც უზიარებენ ახალგაზრდა სპეცილისტებს გამოცდილებას. სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოებისათვის წარმატებების გაზიარების და აღიარების უამრავი მაგალითი, როგორც პირისპირ ასევე სოციალური სივრცის მეშვეობით. წარმატების აღიარება მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N14 სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები

დანართი N15 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

დანართი N16 კონკურსის გამოცხადების წესი

დანართი N17 პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   სკოლაში შექმნილია „მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“ რომლის დებულებაში მკაფიოდაა განსაზღვრული მასწავლებლის მხარდაჭერისა და შეფასების მექანიზმები. დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მოტივაციისათვის შემუშავებულია გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, შემდგომ განვითარებას. სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროების გამოვლენას და მხარდაჭერაზე ორიენტირებულ პროფესიულ განვითარებას (სავალდებულო ან ინტერესებზე მორგებული ტრეინინგები პედაგოგების და სკოლის ადმინისტრაციისათვის). სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის

შეფასების მექანიზმი. მექანიზმი გამჭვირვალე მკაფიო და ნათელია, შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი პერსონალისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომლის მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით. განსაზღვრულია მიზნების მიღწევისათვის კონკრეტული ამოცანები. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, კერძოდ: ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს გაწეული მუშაობის შედეგებს, მასწავლებელს ინდივიდუალურად ეძლევათ უკუკავშირი და აქვთ შესაძლებლობა დაგეგმონ თავიანთი პროფესიული ზრდა საკუთარი პრიორიტეტებისა და საჭიროების მიხედვით. სკოლაში მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის პროცესების ეფექტურად წარმართვა. სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას და შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. თავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ამის მაგალითია სასწავლო შემეცნებითი ვიზიტი ლიეტუვაში.

ზესტაფონისა სსიპ #2 საჯარო სკოლა 2015 წლიდან დამეგობრებულია ლიეტუვის ქალაქ ტაურაგეს პროგიმნაზია „შალტინიოსთან“.2015 წელს, მეორე საჯარო სკოლაში სტუმრად იყვნენ გიმნაზიის დირექტორი,დირექტორის მოადგილე და სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. ხოლო 2018 წლის 30 მაისიდან 6 ივნისამდე, ქ. ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის პედაგოგები მიწვეული იყვნენ ქალაქ ტაურაგეში სასწავლო შემოქმედებით ტრენინგზე. აღნიშნულ ტრენინგს დაესწრნენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ეს ვიზიტი იყო ძალიან ნაყოფიერი და საინტერესო. ორი სკოლის კოლექტივმა გაუზიარა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება. ტრენინგის ფარგლებში მასწავლებლები დაესწრნენ გაკვეთილებს. საინტერესო იყო ინფორმატიკის ლაბორატორიაში ჩატარებულ ცდებში მონაწილეობის მიღება . გაეცვნენ სკოლის ინოვაციებს. მოინახულეს რობოტიკის კაბინეტი. გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილებები. მასპინძლებთან ერთად ესტუმრნენ ვარშავაში კოპერნიკის მუზეუმს. დაათვალიერეს ქალაქ ტაურაგეს ღირშესანიშნაობანი. მოინახულეს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ბიბილაშვილის, საფლავი. სასწავლო შემეცნებითი პროგრამა იყო ძალიან ნაყოფიერი არა მარტო სკოლისთვის , არამედ მასპინძლებისთვისაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

კარიერული ზრდის პროცესი მნიშვნელოვანი საკითხია. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის და სხვა პერსონალისათვის პროფესიული საჭიროების განვითარების გზების შეთავაზებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. წახალისებულია სკოლაში მასწავლებელთა თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის მეშვეობით უზრუნველყოფილია საგაკვეთილო დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. მასწავლებლები პერიოდულად აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, ერთად პროფესიული განვითარების მიზნით ახდენენ განხორციელებული აქტივობების შედეგების განხილვას. საჭიროების შემთხვევაში იღებენ უკუკავშირს. მასწავლებლები საჭიროებებიდან გამომდინარე გადიან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებულ ტრეინინგ კურსებს. სკოლა პერსონალის კარიერული ზრდისათვის ხელმძღვანელობს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით, რომლის მიზანია ადამიანური რესურსების მართვის პროცესების ეფექტიანად წარმართვა და პერსონალის კარიერული წინსვლისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას, რათა მათ შეძლონ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა და დაკისრებული ფუნქციების წარმატებით განხორციელება. ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია გათვალისწინებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულმა პირმა წარმატებით გაიაროს ადაპტაციის პროცესი და გახდეს სკოლის ღირსეული წევრი. ადაპტაციის განსაზღვრულ ეტაპებთან (მოლოდინები, შეხვედრა,) ერთად სკოლა მენტორის (დირექტორი/მოადგილე/გამოცდილი კადრი) მეშვეობით ეხმარება მათ გაეცნონ სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალის წახალისება გამჭვირვალეა და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს, წახალისების ფორმები ასახულია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში: ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, ,,სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის შინაგანაწესი“. თანამშრომელთა მოტივაცია მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის.

სკოლა მხარს უჭერს თანამშრომელთა ინოვაციურ წამოწყებებს და იყენებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით წახალისების სხვადასხვა ფორმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N15 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
დანართი N18 მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ბრძანება
დანართი N19 შინაგანაწესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა
3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება მართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებით. აღნიშნული პროცესები იდენტიფიცირებულია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში (შინაგანაწესი, კურიკულუმი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა) და უზრუნველყოფენ მისიისა და სტრატეგიული გეგმების მიღწევას. ხდება საჭიროებებისა და რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლის გაანალიზების შედეგად დგება ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

   საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში (შინაგანაწესი, კურიკულუმი და სხვა) და აღნიშნული პროცესები სწორად წარიმართება და უზრუნველყოფენ სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული მიზნებისა და კურიკულუმის შედეგების მიღწევას.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ,,სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა“, რომლის მიზანია თითოეულ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს სამართლიანი და გამჭვირვალე სამუშაო და სასწავლო გარემოსშექმანს, რომელიც შესაბამისობაში იქნება საგანმანათლებლო მისიასთან. საჩივრების ეფექტური სისტემის არსებობა სკოლის მართვის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და აღმოფხვრის ძირითადი მექანიზმია. სკოლა უზრუნველყოფს, რომ საჭირო პროცესები წარიმართოს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. დოკუმენტი საჯაროდ და ფართოდ ხელმისაწვდომია. იგი გამოქვეყნებულია სკოლის საიფორმაციო სტენდზე და ვებგვერდზეც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი რომელშიც მოცემულია სკოლის პრიორიტეტები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და ვალდებულებები. სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ურთიერთობათა პირობები, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციის და ტექპერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა", რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვას, სასკოლო თემი ინფორმირებულია თავისი უფლებების შესახებ, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია პერსონალის, მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლასა და მშობელებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ყველა სამართლებრივი დოკუმენტი გაზიარებულია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N19 შინაგანაწესი
დანართი N20 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
დანართი N21 სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა
დანართი N22 მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა.
დანართი N23 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. უკუკავშირი ხდება ზეპირი კომუნიკაციით ან მასწავლებელთან/დამრიგებლებთან პირადი მიმოწერით. ვაცნობიერებთ, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღებოდეს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, ამიტომ სკოლაში მნიშვნელოვანი დოკუმენტების შედგენა ხდება ურთიერთთანამშრომლობის, უკუკავშირის საფუძველზე. .კომუნიკაციისა და უკუკავშირის მექანიზმებს წარმოადგენს საინფორმაციო დაფები, teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა zestaponi2@mes.gov.ge, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები და მშობელთა კრებები, პერიოდული შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლაში კანონმდებლობიდან გამომდინარე, კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების წარმომადგენლობით (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო...). სკოლა უზრუნველყოფს თითოეული მხარის აქტიურ თანამონაწილეობას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სკოლა მუდმივად ცდილობს გააძლიეროს მშობლეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე. მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევითა და სკოლისადმი კეთილგანწყობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება,

დისციპლინა და სხვა). კონკრეტულად განსაზღვრული დღეების გარდა , მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით. სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სკოლის კურიკულუმს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N4 დამრიგებლის მუშაობის დებულება
დანართი N19 შინაგანაწესი
დანართი N24 სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაციის წესი.
დანართი N25 სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლას ემსახურება სამი მანდატური, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ეტაპობრივად განიხილება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო სათვალთვალო სისტემით (სკოლაში დამონტაჟებულია 60 ცალი ვიდეოკამერა). სკოლის ტერიტორიის დისტანციური დათვალიერება შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად მოხდეს ნებისმიერი ფიზიკური უთანხმოებისა თუ ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი ქმედების პრევენცია/რეაგირება. მანდატურის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სისტემატიურად ხორციელდება დერეფნებისა და ეზოს დისტანციური და არადისტანციური დათვალიერება. სკოლს ყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული სამი დარაჯი და სოციალური პროგრამით დასაქმებული ერთი კარისკაცი. აღნიშნული პირები აკონტროლებენ გარეშე პირების გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლაში წარმოებს ვიზიტორთა აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში. შენობასა და ეზოში სისუფთავეს იცავს ექვსი დამლაგებელი. სკოლა აღჭურვილია დაკვამლიანების დეტექტორებით და გამართული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. **სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.** ბრძანებით განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლამ წერილობით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს **შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების** მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის მიზნით და მათთან უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლამ მიმართა კომპეტენტურ ორგანოს **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების** შესახებ დასკვნის თაობაზე, სამხარაულის ბიუროსთან უკვე

გაფორმებულია ხელშეკრულება და უახლოეს პერიოდში ელოდებიან საბოლოო დასკვნას . სკოლას დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2027 წლის 25 იანვრამდე, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება. (მდგრადობა)

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი. მოსწავლეთა პირველადი დახმარება ხორციელდება ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. სკოლას ემსახურება კვალიფიციური ექიმი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ერთობლივად ზრუნავენ: სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მანდატურები, კლასის დამრიგებლები და სხვა პერსონალი. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით განიხილავს უსაფრთხოების საკითხებს და სკოლის დირექტორის აწვდის შესაბამისი რეკომენდაციებს. მანდატურები აღჭურვილი არიან მეტალო დეტექტორებით რომელიც შესაძლებლობას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნას ნივთები რომელთა ქონა/გამოყენება აკრძალულია. დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს შესაძლო დარღვევებზე დისციპლინურ სახდელებს. სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხორციელდება დროული და ეფექტური რეაგირებები. არცერთი საზოგადოებრივი წესის დარღვევა არ რჩება სათანადო უკუკავშირის გარეშე. დარღვევები შესაბამისი რეაგირებებით ატვირთულია ერთიან

ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში. დარღვევების პრევენციის მიზნით ეფექტურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები. სკოლაში ხორციელდება ურთირთპატივისცემაძე დაფუძნებული პოზიტიური დისციპლინირების პოლიტიკა, რაც განაპირობებს დარღვევების შემცირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, მოსწავლეების ფსიქოემოციური საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება მათზე დაკვირვებით, მშობლებთან გასაუბრებით. მოსწავლეების ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე ზრუნავს სკოლის ყველა თანამშრომელი, განსაკუთრებით სპეციალური მასწავლებლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მზად არიან დაეხმარონ მოსწავლესა თუ მასწავლებელს. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა) სკოლაში შექმნილი ნდობაზე დაფუძნებული გუნდური და მიმღებლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლაში მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ტარდება ღონისძიებები და ექსკურსიები. დამრიგებლები მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის მიზნით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში ატარებენ სხვადასხვა აქტივობებს (მინი ლექცია, საუბრები სხვადასხვა საკითხებზე, დისკუსია, პრეზენტაცია და ასე შემდეგ).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე ზრუნავენ დამლაგებლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დავის მექანიზმის შესაბამისად. დოკუმენტი განსაზღვრავს ყოველდღიურ, ყოველკვირეულ და ყოველ თვეში შესასრულებელ სამუშაოებს. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას მონიტორინგს უწევს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და სკოლის ექიმი. სკოლა წყლით მარაგდება ცენტრალიზებულად, თუმცა აქვს წყლის მარაგისათვის საჭირო ავზები. სველი წერტილები მოწყობილია სკოლის ყველა სართულზე და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და საშუალებებით. მოწყობილია ვენტილაციის სისტემა. სკოლის ბიუჯეტით შესაბამის მუხლებში განსაზღვრულია თანხები სისუფთავის დაცვისათვის საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქციის შესაძენად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა იცავს, როგორც მოსწავლეების და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, ასევე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების, ადმინისტრაციულ/ტექნიკური პერსონალის პერსონალურ მონაცემებს. შემუშავებულია და ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" დოკუმენტი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალურ მონაცემთა მიმღებზე. სკოლას ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა მუშაობის პერიოდში იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტ კავშირს. კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამა და გამოყენებულია ლიცენზირებული პროგრამები, მუდმივად ხდება მათი განახლება. გარკვეულ საიტებზე წვდომა შეუძლებელია. მასწავლებლები სარგებლობენ ელექტრონული ფოსტით www.teachers.gov.ge მოსწავლეები კი www.students.gov.ge, რომლებიც ინდივიდუალური მონაცემებით სარგებლობენ. საქმისწარმოებისათვის გამოიყენება სკოლის Email: www.zestaponi2@mes.gov.ge და სკოლის ელექტრონული სისტემა www.efloow.emis.ge სკოლას შემუშავებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკ"-ის დოკუმენტი. პერსონალური ინფორმაცია განთავსებულია www.eschool.emis.ge ბაზაში და მონაცემთა დამუშავება/შენახვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სკოლის პორტალზე გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

   სკოლა მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, მრჩეველთა საბჭო იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს დირექტორის ანგარიშს. სკოლამ შეიმუშავა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტი, სკოლა პერიოდულად შეაფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. აღნიშნულ პროცესს ექნება სისტემატური ხასიათი და მყისიერად მოხდება რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N2 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
დანართი N26 მრჩეველთა საბჭოს ოქმი
დანართი N27 სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა
დანართი N28 პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
დანართი N29 სანიტარულ -ჰიგიენური დაცვის წესი
დანართიN30 საგანგებო გეგმის შეთანხმების წერილი
დანართიN31 ბრძანება პერსონალურ ოფიცერზე.
დანართი N70 წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურს.
დანართი N44 მიმართვის წერილი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ზესტაფონში აკ.წერეთლის ქ. N4-ში(საკადასტრო კოდი-32.10.37.125). სკოლა განთავსებულია 9200.00 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე, საერთო სასარგებლო ფართით 6960,47 კვ. მ. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი; სპორტული დარბაზი; გარე სპორტული მოედანი; კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი 43 საკლასო ოთახი სკოლაში მოწყობილია პანდუსები და ლიფტი და სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის. სკოლა ღჭურვილია თანამდეროვე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით და დამონტაჟებულია 60 ვიდეო კამერა. მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. სკოლას მიეწოდება ინტერნეტი, როგორც ბოჭკოვანი, ასევე საჰაერო სისტემით(WFI) . სკოლას აქვს 111 გამართული კომპიურერი . მათ შორის 88 ლეპტოპი და 23 კომპიუტერი. 14 პროექტორი. 8 პრინტერი. საკლასო ოთახებში და ლაბორატორიაში განთავსებულია 13 მონიტორი (ტელევიზორი). სკოლას ეკონომიკური შემოსავლების გაზრდის და მოსწავლეთა ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით (სამეურვეო საბჭოს თანხმობა; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა; ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობა; აუქციონის წესის დაცვით) იჯარის ფორმით გაცემული აქვს თავისუფალი ფართი ქორეოგრაფიული სტუდიის, მუსიკის წრის და ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით.

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, ეზო, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, შიდა და გარე სპორტული მოედნები) საშუალებას აძლევს მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში, შესვენებაზე კი სრულფასოვნად დაისვენონ.

სკოლა ერთცვლიანია, სკოლის მოსწავლეების სრული რაოდენობა განსაზღვრულია კონკრეტულ სასწავლო ოთახებში მოსწავლეთა ჯამური რაოდენობის ტევადობით. საჭიროების შემთხვევაში მეორე ცვლაში სკოლას შეუძლია მოსწავლეთა გაზრდილი კონტიგენტისთვის საგანმანათლებო მომსახურების გაწევა. სკოლის მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია მოსწავლეთა რაოდენობასთან, კერძოდ, სკოლა აღჭურვილია ყოველ მოსწავლეზე ინდივიდუალური მერხითა და სკამით, საკლასო ოთახზე გათვლილია მინიმუმ ერთი ან ორი დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კარადა რესურსებითვის. დაწყებითი საფეხურის კლასებში მოწყობილია მონიტორები. სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება კომპიუტერული ტექნიკა: კომპიუტერი, პროექტორი და ასე შემდეგ. სკოლაში მოწყობილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია. სსსმ მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს რესურს ოთახი შესაბამისი ავეჯით, კომპიუტერებით და მუდმივად განახლებადი სასწავლო რესურსებით. სკოლის სრული რეაბილიტაცია დასრულდა 2025 წელს და ინფრასტრუქტურულად მოწესრიგებულია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

   სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისათვის კომფორტული აკადემიური სივრცის მოწყობას. საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, კაბინეტები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი ასევე რეკრიაციული სივრცეები-დერეფანი და ეზო თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. რესურსებზე ხელმისაწვდომობა სასკოლო ცხოვრებას ხდის უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოს და სასიამოვნოს. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების განრიგი და შესაბამისად სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს შეუძლიათ საბუნებისმეტყველო, კომპიუტერეული მეცნიერებების, ლაბორატორია , სპორტდარბაზი და სხვა) აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში მოწყობილია საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული ქსელით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია შესაბამისი სივრცე მომხმარებლებისათვის საბიბლიოთეკო სერვისით ადგილზე სარგებლობისათვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება მხატვრული, ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოებისაგან. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტით (საკაბელო, ასევე უკაბელო Wi-Fi). მაგიდებით, სკამებით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომელიც ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოქვეყნებული. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ინკლუზიური განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესია. მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განათლებას. მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორი და სხვა), ასევე საგანმანათლებლო რესურსებით და რბილი ავეჯით და პუფებით. სსსმ მოსწავლეებისათვის შნობის ყველა სართულზე ხელმისაწვდომია ადაპტირებული საპირფარეშო, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი, საკლასო ოთახები. სკოლა სრულად ატაპტირებულია შშმ პირებისათვის. სკოლას აქვს ლიფტი, რომლის საშუალებითაც შშმ პირებს შეუძლიათ სკოლის მე-2, მე-3 და მე-4 სართულებზე განთავსებული სასწავლო სივრცეებით სარგებლობა. შემუშავებულია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. სკოლის ორი სპეციალური მასწავლებელი კლასის დამრიგებლებთან, კონკრეტული კლასის მასწავლებლებთან და მშობლებთან ურთიერთ თანამშრობლობით, დასკვნების საფუძველზე, განსაზღვრავენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინკლუზიური გარემოს შექმნაში ერთობლივად ზრუნავს დირექცია, სკოლის პერსონალი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა მოსწავლეებს აძლევთ შესაძლებლობას სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული, და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა თუ თემის სხვა

თანატოლ წარმომადგენლებთან. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კერძოდ სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა , საკონფერენციო აუდიტორია რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, უზრუნველყოფილია ინტერნეტითა და კომპიუტერული ტექნიკით, სასწავლო რესურსით სასკოლო საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას შეიკრიბონ საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, შეძლონ ჯგუფური და გუნდური მუშაობა, განივითარონ შემოქმედებითი უნარები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N32 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
დანართი N33 ბიბლიოთეკით მუშაობის წესი
დანართი N34 სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები
დანართი N35 კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი
დანართი N36 რესურსებით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობის სრულყოფილად წარმართვისთვის სკოლა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით, რომელიც პროგრამულად გამართულია. სკოლის ინტერნეტიზაცია ხელს უწყობს: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც სასწავლო პროცესს უფრო მდიდარს, მრავალფეროვანს და დინამიურს ხდის. ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, უვითარებს მათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შეფასების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს. ხელს უწყობს პედაგოგებს შორის (სამასწავლებლოში განთავსებულია კომპიუტერები, პრინტერი) ინფორმაციისა და მასალების გაცვლას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულფასოვნად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სასწავლო და სამუშაო პერიოდში სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, შესაძლებელია ინტერნეტით (საკაბელო, უკაბელო Wi-Fi) თავისუფალი წვდომა სკოლის მთელ სივრცეში. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის შექმნილია კომპიუტერებით უზრუნველყოფილი სამუშაო სივრცეები, რომელიც ურთიერთთანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემოს შენებას უწყობს ხელს. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია

,,კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობით წესი", ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურული გამართულობისათვის მუდმივად ზრუნავენ: დირექცია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები, ასევე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის IT სპეციალისტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N35 კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
დანართი N37 კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება აღნიშნული წესის დაცვით. საქმისწარმოების წესით განისაზღვრება: საქმისწარმოების ორგანიზების სისტემა, განცხადებებზე, წერილებსა და დოკუმენტაციებზე მუშაობის წესი. საქმისწარმოების წესი აზუსტებს გასული და შემოსული დოკუმენტების რეგისტრირების, დოკუმენტების შედგენის, ხელშეკრულებების აღრიცხვის, მოსწავლეებისა და პერსონალის პირადი საქმეების და სხვა საჭირო წესებს. დოკუმენტაციის აღრიცხვა ხდება როგორც ელექტრონულად (www.efloow.emis.ge), ასევე აღრიცხვის ჟურნალებში, რომლებიც არის აკინძული, დანომრილი, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ, შიდა და გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა www.efloow.emis.ge, ასევე ელექტრონულ ფოსტა www.zestaponi2@mes.gov.ge. პედაგოგებისათვის ვებ www.teachers.gov.ge

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

   სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში www.efloow.emis.ge, სადაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის ვადებში სრულყოფილად აისახება სხვადასხვა ინფორმაცია, კერძოდ, სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების განახლებული მონაცემები; პირველკლასელთა რიცხოვნობის განსაზღვრა; საგაკვეთილო განრიგი; საშტატო ნუსხა, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა პერსონალი მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

   სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. სკოლას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომლის დაცვითაც უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე წარუდგენს საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, ანგარიში ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარედგინება წლიური ბალანსი და ,,სსსმ მოსწავლეების იდენტიფიკაციის წესების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, შიდა მონიტორინგის დასკვნა; სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე წარედგინება სკოლის დირექტორის წლიური ანგარიში სასწავლო პროცესის წარმართვისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ა.შ

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N38 საქმის წარმოების წესი

დანართი N39 საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიში

დანართი N40 ანგარიში ინკლუზიური განათლების შესახებ

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის პორტალის **https://skolebi-admin.emis.ge/dashboard** და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით: ელექტრონულ ფოსტა www.zestaponi2@mes.gov.ge; პედაგოგებისათვის www.teachers.gov.ge teams პლატფორმა, ინფორმაციული შეხვედრები როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ პლატფორმებით და სხვა. სკოლის პორტალი იძლევა სკოლასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. პორტალზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და ა.შ. გარდა ამისა სკლას აქვს გვერდი სოციალურ სივრცეში, შიდა საკომუნიკაციო ჯგუფები, რომლის გამოყებით ხდება ინფორმაციის მიწოდება და გაცვლა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საქმიანობის, მათ შორის სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე https://skolebi-admin.emis.ge/dashboard; და სოციალურ ქსელში. სკოლა აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას ვებგვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციასა თუ ადმინისტრატორის სახელით გამოხატულ პოზიციაზე. ვებგვერდზე სანდო და უტყუარი ინფორმაციის განთავსებაზე ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კომუნიკაციისათვის გამოიყენება სკოლის პორტალი **https://skolebi-admin.emis.ge/dashboard** და სხვა საკომუნიკაციო არხები: ელექტრონულ ფოსტა www.zestaponi2@mes.gov.ge; პედაგოგებისათვის www.teachers.gov.ge); teams პლატფორმა; კითხვარები; ინფორმაციული შეხვედრები როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ პლატფორმებით და სხვა; ინფორმაციის ანალიზის შედეგები მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით გაითვალისწინება სკოლის საქმიანობის თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი **https://skolebi-admin.emis.ge/dashboard,** რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი **https://skolebi-admin.emis.ge/dashboard** შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე სკოლა უწყვეტ რეჟიმში განაახლებს ინფორმაციებს მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა
დანართი N7 სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
დანართი N41 ვებგვერდის პროფილი
დანართი N42 ბრძანება ვებგვერდის ადმინისტრირებაზე.
დანართი N43 კითხვარი სკოლის კმაყოფილების კვლევის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სკოლის ფინანსური რესურსის განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ვაუჩერი, მასწავლებლების სერტიფიცირების დანამატი, სსსმ მოსწავლეების დაფინანსება და ა.შ), ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან (იჯარა) შემოსავალი. სკოლაში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო საჭიროა გარკვეული დოკუმენტაციის მოწესრიგება. უმოკლეს დროში მოწესრიგდება საჭირო დოკუმენტაცია და სკოლა კვლავ შეძლებს დამატებითი შემოსავლების მოზიდვას. მომდევნო წლის ბიუჯეტი იგეგმება წინა წლის 10 დეკემბრამდე . საჭიროების შემთხვევაში, წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით ხდება ბიუჯეტის კორექტირება, რომელიც ასევე მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო წლის განმავლობაში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. სკოლის მიერ შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება ხდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვების წესის“ მიხედვით, შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე. შესყიდვების გეგმის დამტკიცება ხდება ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, რასაც წინ უძღვის შესყიდვების დაგეგმვა და ბაზრის კვლევა. ბრძანებით განსაზღვრულია ბაზრის კვლევასა და შესყიდვების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. დამტკიცებული გეგმა იტვირთება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში, საჭიროების შემთხვევაში დირექტორის ბრძანების საფუძვლზე, ვახდენთ შესყიდვების გეგმის კორექტირება. საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება წინასწარი პროცედურების გათვალისწინებით, ხელშეკრულებისა და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომლებიც დასტურდება ელექტრონული ხელმოწერებით. სავალდებულო დოკუმენტები იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში CMR მოდულში. შესყიდვების, ასევე სხვა სახის ფინანსური დოკუმენტები ინახება მატერიალური სახითაც სკოლის ბუღალტერიაში; ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით

და ფორმით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარედგინება წლიური ბალანსი. ბალანსის წარდგენამდე ხორციელდება სკოლაში არსებული ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების ინვენტარიზაცია. დირექტორის მიერ შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ხდება ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების აღწერა, შედეგები გადაეცემა ბუღალტერიას. ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა აისახება ბალანსში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N44 სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
დანართი N45 შესყიდვების წესი
დანართი N46 ინვენტარიზაციის ბრძანება
დანართი N47 სასკოლო ინვენტარის მიღება - ჩაბარების აქტი
დანართი N37 კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი
დანართი N48 პროექტორების მიღება-ჩაბარების აქტი
დანართი N49 სკოლის წესდება.
დანართი N50 დირექტორის ანგარიში (10 დეკემბრის)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო;
- სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
- განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.

სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეტესო ინერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.

მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, ან თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზია არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვა, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

სკოლამ ასევე წარმოადგინა სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის რეგულაციები, მოსწავლე ისარგებლებს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით.

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა უფლებები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, ემსახურება მანდატურები. დამრიგებლები ყოველდღიურად ემსახურებიან სკოლაში უსაფრთხოების სრულ პრევენციას. შემუშავებულია ქცევის წესები. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როგორც სასწავლო პროცესში, ასევე სკოლაში გადაწყვეტილებების მიღებაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და ა.შ) კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს სასკოლო ჩართულობასა და თანამონაწილეობას. „მოსწავლეების უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი“ განსაზღვრავს და წარმოადგენს იმ წესებისა და პირობების ერთობლიობას, რომელთა გათვალისწინებით ხდება მოსწავლეების უფლებების დაცვა, მათ შორის მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სკოლის მართვაში მონაწილეობა, გასაჩივრების უფლება, საკუთარი უფლებების ცოდნა და ა.შ

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით. შინაგანაწესის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. შესაბამისი ოქმები სადამრიგებლო პორტფოლიოში ინახება.

სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რაც აქტიურია და განთავსებულია სკოლაში მიმდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა. სკოლის პორტალზე გამოქვეყნებულია „კანონიერი უფლებების დაცვის“, „პერსონალური მონაცემების დაცვის“, „მოსწავლეთა ჩარიცხვის“, „განცხადებისა და საჩივრის განხილვის“ წესები, სკოლის შინაგანაწესი.

მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულების ნიმუში, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. აგრეთვე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მოსწავლეთა სასკოლო თუ არასასკოლო აქტივობებში (მაგ. გაკვეთილები, ექსკურსიები, კონკურსები, პროექტები, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, გასვლითი შეკრებები და ა.შ.) გადაღებული ფოტოს, ვიდეოს და აუდიო ჩანაწერების საციალურ ქსელში, საჭიროებისამებრ განთავსებაზე. ხელშეკრულება ასახავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მოსწავლის უფლებებსა და

მოვალეობებს, ინფორმაციას პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტას, მხარეთა რეკვიზიტებს. ხელშეკრულებაში გაწერილი პირობები სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით ცვლილებების განხორციელება, მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N19 შინაგანაწესი
დანართი N20 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
დანართი N51 სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა,

რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა;
შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში. „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამის მექანიზმებს. დოკუმენტი ვებგვერდის მეშვეობით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის; საფეხურის დაძლევის წესს განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5“-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დასაცავად ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესით“. სკოლის სიმძლავრის, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით ბრძანებით განსაზღვრება პირველკლასელთა რიცხოვნობა. ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს. სკოლა ყოველთვის იცავს

კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, განთავსებულია ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.
სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მეორე უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით.
სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით იქმნება კლუბები მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
 სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს, მათ მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს წარუდგენს სათანადო წესით დამტკიცებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მზაობას მოსწავლეების მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე (მოსწავლეების კლასებში გადანაწილება და სხვა). პირველკლასელებს სასწავლო პროცესის დაწყებამდე სთავაზობს სკოლის დათვალიერებას, რათა სწავლის დაწყებისას მათთვის უცხო არ იყოს სასკოლო გარემო და სასწავლო სივრცეები. ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეებს აცნობს ტრანსპორტით სარგებლობის წესებს. ბრძანებით განსაზღვრავს ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ზრუნავს მოსწავლეების უსაფრთხოებაზე და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე. სკოლის ან სკოლის პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ სრულად არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. მაგ. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები პირველივე მშობელთა კრებაზე მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში არსებული ქორეოგრაფიული და სამუსიკო სტუდიების შესახებ. აცნობენ მათი მომსახურების პირობებს, პედაგოგებსა და გასული სასწავლო წლის მიღწევებს. დირექცია რესურსცენტრიდან მოწოდებულ ინფორმაციებს მუდმივ რეჟიმში აცნობს სასკოლო საზოგადოების წევრებს (ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N4 დამრიგებლის მუშაობის დებულება

დანართი N52 მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

დანართი N 53 დამრიგებლის სამოქმედო პროგრამა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ტრანზიციის დებულება. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და მოიკვლევს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. სკოლის პირველი კლასის დამრიგებელი მუდმივად თანამშრომლობს თემში არსებულ საბავშო ბაღებთან, აგროვებს ინფორმაციას პოტენციურ პირველკლასელთა შესახებ, აცნობს მშობლებსა და ბავშვებს სკოლის სტრუქტურას, ეპატიჟება სასკოლო ღონისძიებებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ტრანზიციას. სკოლა სრულ მზაობას გამოხატავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისა და საფეხურებრივ ტრანზიცირების წარმატებით განხორციელებისთვის, სკოლა ხელს უწყობს სსსმ

მოსწავლეთა პროფესიულ და სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები აერთიანებს სკოლის მიერ მოსწავლის სასკოლო გარემოს ხელშეწყობის, კარიერის დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას, სსსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პირველკლასელთა მიღებას და მათი ადაპტაციის მხარდაჭერის აქტივობების განხორციელებას. პირველკლასელების ტრანზაქცია ასახულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წეს"-ში. აღნიშნული წესი ასევე განსაზღვრავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პირობებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციას, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეების ადაპტაციას. მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკისა და განვითარების შესაბამისი ავეჯის, საკლასო გარემოსა და სივრცის უზრუნველყოფას. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის გაცნობას დაინტერესებული პირებისათვის. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს განუმარტავს მოსწავლეთა ადაპტაციის პირობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, მაგალითად, როდესაც მოსწავლე სხვა სკოლიდან გადმოდის, მოსწავლეებს აცნობენ სკოლის გეოგრაფიას, სპეციფიკას, სოფლის ისტორიას და ტრადიციებს. სკოლაში არსებული პოზიტიური და უსაფრთხო გარემო უადვილებს მოსწავლეს სასკოლო საზოგადოების წევრობას პირველივე დღიდანვე. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მოსწავლეების სასწავლო გარემოს ადაპტაციის ხელშეწყობისთვის სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკისა და განვითარების შესაბამისი ავეჯის, საკლასო გარემოსა და სივრცის უზრუნველყოფას. სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს, სასწავლო პროცესი ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისათვის გასათვალისწინებელი ფაქტორებია: მოსწავლის ინდივიდუალური ხასიათი, მისი თვისებები, უფროსი და-ძმის გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დამრიგებლის როლი იმ მოსწავლეებთან რომელთაც გააჩნიათ ენობრივი ბარიერი ან კულტურული განსხვავებულობა, მშობლის ფაქტორი, საორიენტაციო ვიზიტი - სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველ დღეს დამრიგებლის მეშვეობით სასკოლო გარემოს დათვალიერება-გაცნობა. სსსმ მოსწავლეების ადაპტაციაში კლასის

დამრიგებლებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ სპეციალურ მასწავლებლებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციას. სსსმ მოსწავლეებს მშობლებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია თუ რა დამხმარე სერვისებია სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. საბავშვი ბაღებში ეწყობა ვიზიტები და მოსწავლეთა მონაწილეობით ღონიძიებების გამართვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შეცდომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები შემოქმედებითი, კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა.
სკოლა აქტიურად ზრუნავს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც მოსწავლეები სისტემატურად იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. მოსწავლეები, მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები დამრიგებლების მეშვეობით ეცნობიან ინფორმაციას მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). მოსწავლეები პედაგოგებისაგან რეგულარულად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირებს. სკოლას აქვს გამოცდილება რემედიაციის პროცესის წარმართვის და საჭიროების შემთხვევაში იყენებს მას. ერთი წლის განმავლობაში სკოლა ჩართული იყო განათლების და მეცნიერის სამნისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდის და ბულგარეთის საელჩოს ინიციატივით განხორციელებულ სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა დაწევისა და დაჩქარების პროგრამაში. მასწავლებლები დამატებით მეცადინეობას, კონსულტირებას უწევენ მოსწავლეებს რომლებსაც დაენიშნათ საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნის გამოცდები გაცდენების/ასაკის გამო და ასე შემდეგ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, კლასის კრებებზე, მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას. ასევე, მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში იღებენ ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ.
სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სრულად უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. პანდემიის დროს ორი წლის განმავლობაში სკოლა სრულად უზრუნველყოფდა მოსწავლეების ონლაინ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შედგენილი იყო ადაპტირებული საგაკვეთილო ცხრილი. მეცადინეობები ტარდებოდა ნებისმიერი საშუალებებით- თიმსი, მესენჯერი ტელეფონი და სხვა. საჭიროების შემთხვევაში სკოლა იყენებს შინ სწავლების ფორმას. სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ნებისმიერი კლასის, პირველკლასელების რეგისტრაციის, მობილობის, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ და ა.შ. დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია, გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკიციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. დაგეგმილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყველა სასკოლო აქტივობა მხარდაჭერილია დამრიგებლების მიერ.

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სრულად უზრუნველყოფს დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს, წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სასწავლო და სპორტულ ოლიმპიადებში; შემეცნებით კონკურსებში; მხატვრულ და შემოქმედებით ღონისძიებებში. სკოლის გუნდი მონაწილეობდა სს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ეკოლოგიკა“. გაიმარჯვა ჩვენმა პროექტმა და გრანტის სახით სკოლამ მოიპოვა 5000 ლარი, რომლითაც სკოლის ეზოში მოეწყო რეკრეაციული სივრცე. ასეთ აქტივობებში მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს, უწევენ კონსულტაციებს და მეგზურობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და მათი მშობლების უკუკავშირები. ძირითადად იყენებენ ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებს “კლასის საათის”, მშობელთა კრებების ფარგლებში, სკოლის მოსწავლეთა რიცხოვნობის გათვალისწინებით.

მოსწავლეების/დაინტერესებული პირების უკუკავშირის საფუძველზე სკოლა მეტწილად აუმჯობესებს მოსწავლეების მომსახურებას, სკოლას ზეპირსიტყვიერად და კითხვარებით აქვს მიღებული ინფორმაცია მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისაგან თუ რამდენად კმაყოფილი არიან სკოლის მიერ მიწოდებული სერვისებით. სკოლა სამომავლოდ შეაგროვებს მონაცემებს გაწეული მომსახურეობის შესახებ მოსწავლეების გამოკითხვის, ანკეტირების, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. მიღებული მონაცემები გაანალიზდება და გათვალიწინებული იქნება სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N54 მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

დანართი N55 მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან. პროფესიული ორიენტაციის მიზნით დაგეგმილია აქტივობები სადამრიგებლო საათზე, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რაც ერთერთი გამჭოლი პრიორიტეტია სასკოლო კურიკულუმებში. სკოლა ხელს უწყობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობას. კარიერული მიზნები განისაზღვრება მოსწავლეების ინდივიდუალური უნარებითა და ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური და პიროვნული შესაძლებლობების აღმოჩენასა და შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ეწყობა სასწავლო ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს რესურსცენტრიდან მიღებულ ინფორმაციებს კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების თაობაზე. პროფორიენტაციის ფარგლებში მე-9 კლასის მოსწავლეებთან ერთად განხორციელდა ვიზიტი ექიმის კაბინეტში. აქტივობის მიზანი იყო მოსწავლეთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება , სამედიცინო სფეროს თავისებურებების გაცნობა და ექიმის პროფესიის მნიშვნელობის გააზრება.

ვიზიტის განმავლობაში მოსწავლეები გაეცნენ ექიმის სამუშაო გარემოს , პროფესიულ მოვალეობებს , აუცილებელ უნარ - ჩვევებს და იმ პასუხისმგებლობებს , რომელებიც აღნიშნულ პროფესიას უკავშირდება. შეხვედრა საინტერესოდ და ინტერაქტიურად წარიმართა - მოსწავლეებმა დასვეს შეკითხვები, მიიღეს ამომწურავი პასუხები .მოირგეს პაციენტის როლი.

აქტივობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას სამედიცინო სფეროს მიმართ და დააფიქრა ისინი პროფესიული არჩევანის მნიშვნელობაზე. მსგავსი ტიპის შეხვედრები მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა პროფესიის უკეთ გაცნობაში, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გაანალიზებაში, რაც მომავალში გააზრებული პროფესიული არჩევანის გაკეთების წინაპირობას ქმნის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საპატრიარქოს უნივერსიტეტთან, თანამშრომლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტთან; კოლეჯ „კონსტრუქტ2“თან. მოსწავლეებისთვის სისტემატურად ეწყობა ვიზიტები/ექსკურსიები ფეროშენადნობთა ქარხანაში მეტალურგის პროფესიის გასაცნობად, აგრეთვე ზესტაფონის კოლეჯ ,,კონსტრუქტ2“- ში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სადაც მოსწავლეები ეცნობიან სპეციალობებს და დასრულებული საფეხურების მიხედვით (საბაზო და საშუალო) სწავლის ხანგრძლივობასა და სასწავლო პირობებს. კოლეჯი არის პერსპექტიული სასწავლებელი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიულ სწავლასა და შემდგომ დასაქმებას. სკოლა იცავსდა ითვალისწინებს საკანონმდებლო რეგულაციებს სასკოლო ექსკურსიასთან დაკავშირებით. ადგილობრივი მერიის ხელშეწყობით 2024-2025 საწავლო წელს მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში საინტერსო თემატიკის ლექციებზე. სკოლას ხშირად სტუმრობენ უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები, სამხედრო პირები-საკუთარი პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, ეწყობა ღია კარის დღეები და ესაუბრებიან აბიტურიენტებს და სთავაზობენ აირჩიონ სასურველი ფაკულტეტები მათ მიერ წარდგენილი პრიორიტეტების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში მეტწილად ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლა მოსწავლეებისგან უკუკავშირს იღებს ზეპირსიტყვიერად, მომავალ პროფესიებზე საუბრები

დაწყებითი კლასებიდანვე ხორციელდება და ამასთან დაკავშირებით არაერთი პროექტია განხორციელებული, თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს პროფორიენტაციის კუთხით კვლევის წარმოებას. ჩაატარებს გამოკითხვას და დაადგენს რამდენად ეხმარება სკოლა მოსწავლეს პროფორიენტაციაში. სკოლა გეგმავს, რომ მოსწავლეებს გაუზიაროს კარიერის დაგეგმვის ონლაინ პლატფორმა Domenico.ge, სადაც მოსწავლეებისათვის გასაგები შინაარსით და მისაღები დიზაინით შეთავაზებული იქნება პროფორინტაციასთან დაკავშირებული საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N56 მემორანდუმი.
დანართი N57 წერილი ფეროს
დანართი N58კითხვარი პროფორიენტაციის
დანართი N59 სკოლის კურიკულუმი - პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. მექანიზმი ,კაფიოდ განსაზღვრას სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესებს. ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებდეს მონიტორინგს, შემუშავებული შიდა პროცედურის შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

შემუშავებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე მათი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე მშობლების პრიორიტეტის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

მოსწავლეთა პედაგოგები ქმნიან კეთილგანწყობილ გარემოს მოსწავლეებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირების საფუძველზე . სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები. სპეციალური მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ მოსწავლეებთან რესურს ოთახში. ინდივიდუალურად ეხმარებიან საგნის მასწავლებლებს სსსმ მოსწავლეთა სასწავლო მიზნების განსაზღვრასა და რესურსების შექმნაში. ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგს. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა კეთილგანწყობილი, ადაპტირებული გარემოს შექმნასა და სასწავლო რესურსებით და შესაბამისი ავეჯით რესურს ოთახის აღჭურვაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი N50 მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

დანართი N77 ისგ-ს გეგმა

დანართი N34 სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლაში მოქმედებს სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა. პროგრამის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება რვა მიმართულებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საკოლო ტრანსპორტის სწორად ფუნქციონირებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, ამოწმებს ტრანსპორტის სისუფთავეს, შესრულებულ რეისებს და ამოწმებს მანქანის გამართულობის დოკუმენტაციას.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს არასავალდებულო დამატებითი ხასიათის მომსახურებას

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს არასავალდებულო დამატებითი ხასიათის მომსახურებას

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N60 ტარანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება , გადასინჯვა და რევიზია); პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს.

მეთოდოლოგიური დოკუმენტის გაცნობით დგინდება, რომ ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება, მუდმივმოქმედი პროცესია და მასში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. რისთვისაც სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, საჯარო ღონისძიებებს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. საგნობრივი ჯგუფის წევრებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნება სასკოლო კურიკულუმი თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შედგენის დროს გაითვალისწინეს პედაგოგების გამოცდილება. ასევე გათვალსიწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების საჭიროებების, ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

2.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სამივე საფეხურის კურიკულუმში ასახულია საგნობრივი კათედრების მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლეების და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ინტერესები, რომლებიც დეკლარირებულია საგნობრივ კურიკულუმში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში კარგად ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხის თემატური დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა აგებული და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ერთობლივად შეარჩიეს შემოქმედებითი დავალებები.საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები ფორმალურ განათლებასთან ერთად ითვალიწინებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, მათ შორის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას. აღნიშნული კურიკულუმებში გათვალსიწინებულია წლის განმავლობაში დაგეგმილი სასკოლო თუ სკოლის გარეშე ღონისძიებების ჩამონათალი. სკოლის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა დააკმაყოფილოს ყველა შესაძლებლობის მოსწავლის ინტერესები. ამისთვის სკოლაში არსებობს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, სკოლის ბიბლიოთეკა, სპორტული ინფრასტრუქტურა, რესურსოთახი, /სააქტო დარბაზი, კვების ბლოკი ლიფტი და მთლიანად შშმ პირზე მორგებული სკოლის სივრცე. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლა ატარებს გამოკითხვებს და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ახდენს ცვლილებების შეტანას სასწავლო კურიკულუმში.

2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. სკოლაში, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. საგნების მასწავლებლები, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, ერთობლივად გეგმავენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს, რომლებიც ასევე მოიცავს შესაბამის საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლას გააზრებული აქვთ დირექციის, საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების როლი და ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგი კომპლექსური დავალების ეტაპების, შეფასების შესახებ ინფორმაციას, ელ. ჟურნალის საშუალებით უზიარებს მშობლებს. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლის ინფორმირება სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

ვიზიტის დროს, მასწავლებელთა ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ინფორმირებულები არიან და საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმს. ამასთან, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა, სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს მშობელთა კრებებს/შეხვედრებს, საიტზე ატვირთვას, ელექტრონული ჟურნალით გაზიარებას, მათთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნას და სხვა.

2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კათედრის სხდომის ოქმები;**
- **მშობელთა კრების ოქმები.**

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებულია და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვა და განვითარების გზა, რაც ასევე დადასტურდა სკოლის მესვეურთა მიერ წარმოდგენილ, როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ დავალებებში. კარგად არის გააზრებული განმავითრებელი შეფასება ბლუმის ტაქსონომიის დონეების მიხედვით. ასევე მათი ხედვა STEM პროექტების მიმართულებით საინტერესოა, განხორცილებული პროექტებიდან აღსანიშნავია პროექტი ალტერნატიული ენერგიის წყაროების, ელექტროენერგიის განაწილების შესახებ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს

	სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, რის მიხედვით ასახულია მოკლევადიანი (შუალედური) და გრძელვადიანი მიზნები, სასწავლო რესურსები რის მიხედვით მოსწავლე მოახდენს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას (მაგ: მე და საზოგადოება- „მაკეტის შექმნა“; ჩვენი საქართველო- „პოსტერი სვანეთის შესახებ“; მოქალაქეობა- „საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა ეკოლოგიაზე“; ისტორია- „ჩანაწერების/მოგზაურის დღიურების შექმნა“; გეოგრაფია- „საგაზეთო სტატია ჰილეებზე“ და სხვ,) და საგნობრივი სტანდარტის კონკრეტულ შედეგზე გასვლას, რაც მკაფიოდ არის ასახული კურიკულუმის ჩარჩოში. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
უცხოური ენები	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული, შემოქმედებითი და კომპლექსური აზროვნების უნარების განვითარებას. თითოეული თემის ფარგლებში შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტები, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. კურიკულუმის დაგეგმვისას, მასწავლებლები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების ანალიზს (აქტივობების, რესურსების რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი),ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მათი სასწავლო პროცესში ჩართულობას. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის გაზიარებული დოკუმენტებისა და დამატებით მოთხოვნილი მასალების შესწავლის საფუძველზე მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შინაარსი და კურიკულუმის თანახმად განხორციელებული პრაქტიკა (მუსიკა, სახ. და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოადგენს მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებზე და განვითარებაზე ორიენტირებულ დოკუმენტს/ინსტრუმენტს; **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. იყო მცირეოდენი ხარვეზები, თუმცა კათედრასთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სრულად აქვთ გააზრებული ეს ხარვეზები, და რომ იმუშავებენ მათ დახვეწაზე, რის დასტურადაც მასწავლებლებმა დამატებით გამოგზავნეს სწორად და სრულად შევსებული კურიკულუმის ნიმუშები საბაზო საფეხურისთვის. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებები, სასწავლო რესურსები, განსაზღვრული საათების რაოდენობა; მასში წარმოდგენილი საკითხებით/საკითხთა კლასტერით დაფარულია თემები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს). **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს, კურიკულუმი დაგეგმილია ისე, რომ ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს და სწავლება მათზეა მორგებული. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**

2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის სამივე საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს კურიკულუმში მოცემულ დავალების იდეა/შემაჯამებელი დავალება ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები.)სკოლის სამივე საფეხურზე) მაგალითად, ქიმია, მე-11 კლასი, წარმოდგენილია ხსნარების რაოდენობრივი შედგენილობის, მოლური კონცენტრაციის და ხსნარში გახსნილი ნივთიერების მასური წილის გამოთვლა,რაც ნამდვილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნების-ნივთიერების დაფარვას. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება ესგ-ის მიხედვით განსაზღვრული თემატური (თემების) ერთეულების ფარგლებში კონკრეტული საკითხების მიხედვით, სადაც ცოდნის გამთლიანებას მოსწავლე ახდენს შემოქმედებითი ტიპის დავალებების ფარგლებში, რომლის მტკიცებულებები კათედრამ წარმოადგინა (მაგ: ჩვენი საქართველო- „ბუკლეტი მევენეხეობა- მეღვინეობის შესახებ“; გეოგრაფია-„ პრეზენტაცია-

	დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები"; ისტორია- „კედლის გაზეთი არაბებზე" და სხვ.) შესაბამისად. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინგლისური, რუსული და გერმანული ენის კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კონკრეტული რესურსები და საათობრივი განაწილება. შესასწავლ თემებთან მიმართებით დაგეგმილია შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რაც ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მკაფიოდ ჩანს საფეხურეობრივი შედეგების მისაღწევი მიზნები და მათი განხორციელების შესაძლებლობები(სამიზნე ცნებები, თემები, საკითხები, კომპლექსური ბუნების დავალებები). დაწყებითი და საბაზო საფეხურები ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტით დადგენილ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო საშუალო საფეხურზე- პრიორიტეტულ მიმართულებებზე(მაკროცნებები) ორიენტირებულ სავალდებულო პროექტების განხორციელებას; **რჩევა:** მასწავლებლებს ვურჩევდი კურიკულუმებში გაემიჯნათ ერთმანეთისგან **„საკითხების"** და **„კონტექსტ მაგალითების"** გრაფები. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს, გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია ცნებათა

	სწავლებაზე, რისი მანიშნებელიცაა ე. წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება, ეს უკანასკნელი, როგორც კათედრა მიიჩნევს, მათი ძლიერი მხარეა. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე, გეგმავენ, შეარჩიონ და განახორციელონ შემოქმედებითი დავალებები ესგ-ს შესაბამისად, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას. **რჩევა:** სასურველია: სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	კურიკულუმი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისკენ, რაც გულისხმობს საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას, სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ დაგეგმვას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების სისტემურ განვითარებას შესაბამისი სტანდარტების მიხედვით. გაკვეთილი იგეგმება ისე, რომ მოსწავლეებმა განივითარონ პრაქტიკული უნარები (მაგ. პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა), ხდება სხვადასხვა საგნის ინტეგრაცია. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით, მათ შორის სასკოლო ლაბორატორიებით, სკოლას აქვს ლაბორატორიები სადაც ხდება ექსპერიმენტების და ცდების ჩატრება, სკოლის სამივე საფეხურზე. სკოლის მესვეურთა განმარტებით, დაწყებულია ახალი ინტეგრირებული ლაბორატორიის შესყიდვის პროცესი. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) რესურსების სვეტში ასახულია ელექტრონული სასწავლო რესურსები, რომელიც მეთოდურად მორგებულია კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე და საშუალებას იძლევა დამუშავდეს შემოქმედებითი ტიპის დავალება, რაც მოახდენს საგნობრივი სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესის განმავლობაში კათედრა იყენებს შემდეგი ტიპის საგანმანათლებლო რესურსებს : გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკუმებში ვიდეო ბმულების სახით და წარმოადგენს მნიშვნელოვან საყრდენს კონკრეტული თემის ფარგლებში დავალების შესრულების/ენობრივი საშუალებების ათვისების კუთხით, და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული

	სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, კათედრა აქტიურად იყენებს სკოლის ბაზაზე არსებულ ტექნოლოგიებს და ინტერნეტს ელექტრონული პრეზენტაციების და სხვა შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის პროცესში. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ძირითადად ეყრდნობა სამინისტროს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს(მუსიკა, სახ.და გამოყენებითი ხელოვნება) და მიზნობრივად შერჩეულ სანდო ციფრულ რესურსებს(მაგ.-ტელესკოლა, მუსიკის სახელმძღვანელოების თანხმლები რესურსები, მასწავლებლების მომზადებული ვიზუალური თვალსაჩინოები, აუდიო/ვიდეო ფაილები და ა.შ.). **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	.კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსს, მაგ. მასალას იუთუბ არხიდან, ტელესკოლის გაკვეთილების, ფილმებს და ა.შ. - მრავალფეროვან ინტერნეტრესურსებს. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია ლინკების სახით (ტელესკოლის გაკვეთილები, math.ge რესურსები, იუტუბის ვიდეო რესურსები) . წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების შერჩევას. კურიკულუმში წარმოდგენილი და კათედრაზე შეთანხმებული ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.ყველა კლასის

	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მრავალფეროვანი სასწავლო მასალები და ციფრული პლატფორმები, ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტიანობას, მრავალმხრივობას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, საინტერესო და მოსწავლეთა ინტერესზე მორგებული პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას.

	2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მესვერთა მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ბუნებისმეტყვეების კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტ მაგალითების და კომპლექსური დავალების იდეების დონზე.(სამივე საფეხურზე) მაგალითად, მეექვსე კლასში ბიოლოგიაში, სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმა,(საგნის და სპეცმასწავლებლის მიერ) პროცესის ანალიზი განხორციელდება წლის ბოლოს. 2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომას. კათედრა კურიკულუმის შექმნის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, სურვილებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. შემოქმედებითი დავალებების მუშაობის პროცესში მოსწავლეებს საშუალება აქვთ ციფრული და მატერიალური სახის პროდუქტი შექმნან და წარადგინონ კლასის წინაშე. კათედრას წარმოდგენილი აქვს ისგ- დოკუმენტები (მაგ: გეოგრაფიაში- სამხრეთ ამერიკა; ისტორიაში- შუა საუკუნეები; ჩვენ საქართველოში- ქართლი). ამრიგად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახდენს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწიენებასა და მასზე სასწავლო პროცესის მორგებას სამივე საფეხურის მიხედვით. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე, კურიკულუმები იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები, წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები და პროექტის გეგმები. ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში გაწერილია კონკრეტული სტრატეგიები და აქტივობები, რაც დაეხმარება მოსწავლეს დასახული მიზნის მიღწევაში. **რჩევა:** სასურველია კათედრამ განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები (კლუბი, წრე, ინტეგრირებული პროექტები. და სხვ.), რაც დაეხმარება მოსწავლეებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მოწოდებული რესურსების შესწავლისა და მასწავლებლებთან კომუნიკაციის შედეგად შეიძლება ითქვს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს და

	დიფერენცირებულ მიდგომებს, რაზედაც მეტყველებს სხვადასხვა ფორმით/ტექნიკით შესრულებული ერთი და იგივე კონტექსტის მქონე დავალებები. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც აისახება შერჩეულ სასწავლო რესურსებში, თემებში, არჩევით დავალებებში. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; კათედრას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმშიც შეიტანოთ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე რომლებსაც ახორციელებთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და

	შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა) **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს მოსწავლეებისთვის მორგებული არჩევანის შეთავაზებას. ყურადღება ექცევა თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და სწავლის სტილს, სწავლის პროცესში აქტიურად ხდება თანამშრომლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დამხმარე მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას და სწავლის ეფექტიან შედეგებს. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების(ბუნებისმეტყველება,ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში კათედრის მიერ განსაზღვრულია დავალებები, შეფასების რუბრიკით, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურზე (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, საქართველოს ისტორია, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) რომელიც აგებულია გრძელვადიანი მიზნების პრინციპებით. შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს საფეხურის შედეგების ინდიკატორების საფუძველზე. განმსაზღვრელ შეფასებას მინიჭებული აქვს ქულები, (მაგ: გეოგრაფია- „ბუნებრივი საფრთხეების საადაპტაციო ღონისძიებები-მიგრაცია და პრევენცია; სამხრეთი ამერიკა; ისტორია-„საქართველო XVIII საუკუნის ბოლოს- ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმება რუსეთის იმპერიის მიერ“; „საზოგადოება და მმართველობის ფორმები XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში“; ჩვენი საქართველო-„კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები“ და სხვ.) ხოლო განმავითარებელი შეფასება კონკრეტული თემის/საკითხის მიხედვით ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს და საჭირო უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობას (მაგ: მე და საზოგადოება- „განათლება“;

	გეოგრაფია- „დედამიწა“; და სხვ.). შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანსა და წარმოდგენილია ესგ- ის პრინიპებთან მიმართებით. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრას შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით და განმავითარებელი, სადაც ორიენტირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაა. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ადასტურებს, რომ ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების რუბრიკების გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ ცნებებს და ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლები გარდა გამსაზღვრელი შეფასებისა, აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ტექნიკებსაც (ზეპირსიტყვიერი, წერილობითი, მოსწავლეთა თვითშეფასება/ურთიერთშეფასება). **მტკიცებულებები:** ● მაღალი, დაბალი და საშუალო მოსწრების მოსწავლეებისთვის შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; ● მასწავლებლის აღწერილობითი კომენტარის ნიმუშები(მუსიკა, სახ. და გამოყენებითი ხელოვნება); ● განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; **რჩევა**

	• დაწყებით საფეხურზე **განმავითარებელი შეფასების** დროს შეეცადეთ აღწერილობითი უკუკავშირი იყოს ჩამოყალიბებული მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე(არ გამოიყენოთ ისეთი მნიშვნელობები როგორიცაა: „გაანალიზე“, „კომპიუტერული პლატფორმა“, „ოპერირება“ და ა.შ.); • თქვენი უკუკავშირი იყოს ქვეცნებებზე დამიზნებული, ქმედითი და არ ატარებდეს განზოგადებულ ხასიათს; • გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლისთვის მიცემული „რჩევა“ მკაფიოდ უნდა აკონკრეტებდეს მის მიერ განსახორციელებული სამუშაოს ფორმას, შინაარს ან/და თანმიმდევრობას(აღნიშნული ეხება მხოლოდ ზოგიერთი განმავითარებელი უკუკავშირის ნიმუშს); • **განმსაზღვრელი შეფასების** რუბრიკებში შეეცადეთ მკაფიოდ ჩაშალოთ თითოეული კრიტერიუმის ქულა, კერძოდ, კრიტერიუმის კომპონენტებთან მიმართებით რა პრინციპით ნაწილდება მაგ.-3 ქულა. . **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ რუბრიკებში მეტ-ნაკლებად იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით, მაგრამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში კათედრამ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი, გაუმჯობესებული რუბრიკები. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკის ნიმუშები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას (განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება დაწყებით საფეხურზე V კლასში მეორე სემესტრში და VI კლასში), რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან

	მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ, თანმიმდევრულ და შედეგზე ორიენტირებულ შეფასებას. იგი საშუალებას აძლევს გარკვეულწილად აისახოს მოსწავლეთა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ.ზესტაფონისN2 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;
- კათედრის ოქმები;
- პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- კომპლექსური დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები;
- მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაცია;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები;
- პროექტის გეგმები;
- მოსწ.ნამუშევრები;
- ფოტომასალა,
- საინფორმაციო პოსტერები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული პოსტერები;
- სსსმ მოსწ. კომპლ. ადაპტირებული;
- ინდ. სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად - სკოლის სამივე საფეხურზე. სასკოლო კურიკულუმში STEM-ის მიმართულებით დისციპლინებში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

	2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან შეხვედრის საფუძველზე დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე ახდენენ კურიკულუმების მოდიფიცირებას, რაც შემდეგში იძლევა საშუალებას. მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა მზაობა, სურვილები, საჭიროებები და ინტერესები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა სამივე საფეხურზე აქტიურად ანხორციელებს შემოქმედებითი დავალებებით სწავლებას, რის ფარგლებშიც წარმოდგენილია მოსწავლეების ნამუშევრები (მაგ: კედლის გაზეთი, პოსტერები, პრეზენტაციები და სხვ.) **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება სტანდატით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. კურიკულუმში გაწერილი საკითხები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან. კურიკულუმების მიხედვით შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და მითითებულია სავარაუდო საათობრივი განაწილება კონკრეტულ თემებთან მიმართებით. ამასთანავე, განსაზღვრულია რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. წარმოდგენილია მასწავლებლის რეფლექსიები, ანალიზი და მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ასევე ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად. ხოლო, სასწავლო წლის ბოლოს გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ მასწავლებლები კურიკულუმში ასახავენ ცვლილებებს . **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახ/და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები და სავალდებულო პროექტები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების დამუშავებას, გააზრებას და კურიკულუმში აღწერილ სასწავლო თემებთან მიმართებით მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ემსახურება სასწავლო პროცესის სწორ დაგეგმვას, წარმართვას, რევიზიას და სასწავლო წლის ბოლოს კათედრის დონეზე კურიკულუმით განხორციელებული საქმიანობების შეჯამებას(ძლიერი/გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა და ინტერვენციული სამუშაოების დაგეგმა/ მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების რედაქტირება). **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კომპლექსური დავალება, რომელიც ახლავს კურიკულუმის ჩარჩოს, შეესაბამება კურიკულუმში გაწერილ საკითხებს. ამასთან, დავალების პირობა კავშირშია მოსწავლის როლთან და სასწავლო შედეგებთან. კომპლექსური დავალება ან ნებისმიერი ტიპის შემ ოქმედებითი პროდუქტი შერჩეულია კურიკულუმში გაწერილი თემის შესაბამისად. დავალების იდეა ნათლადაა აღწერილი, რათა მოსწავლისთვის იყოს გასაგები. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: ჩემი ნაგებობები, ზოოტოპია, ფუნქციის პასპორტი, კუთხეები ჩვენს ირგვლის, პროცენტები ჩვენს ცხოვრებაში)

	რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას). **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც გულისხმობს საგნობრივი თემების სისტემატიზაციას, აქტივობების დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებებზე, რესურსებისა და ციფრული პლატფორმების გამოყენებას, ასევე პროცესის შედეგების დაკავშირებას კურიკულუმში განსაზღვრულ კომპეტენციებსა და სწავლების მიზნებთან. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და

	თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მიზანმიმართულად ცდილობს საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზებას და ოპტიმიზაციას გარემოებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მორგებით. სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად და ეფექტიანად რეაგირებს. ამის მაგალითია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზება კონკრეტული აკადემიური ან სოციალურ-ემოციური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლის მიერ თავისი ვალდებულების ვერ შესრულების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლება შესაბამისი კათედრის მასწავლებლით. ასევე,საჭიროების დროს ხდება გაკვეთილების გადანაცვლება იმ პირობით, რომ არ დაირღვეს სასწავლო წლის განმავლობაში საგნისთვის განკუთვნილი საათების დაგეგმილი რაოდენობა. აღნიშნულის ორგანიზებისთვის სკოლაში არსებობს ჩანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი. ასევე მოსწავლის ხანგრძლივი ავადმყოფოის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მის შინსწავლებაზე გადაყვანას. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც სტანდარტული რეჟიმით სწავლების პირობებში ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება, სკოლა შეიმუშავებს რემედიაციის პროგრამას.
სკოლა აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს (კონსულტაციები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები), რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება მონაცემებს და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებაც ხდება შესაბამისი ანალიზის საფუძველზე. საგანგებო შემთხვევებში (მაგალითად, ტექნიკური შეფერხება, ქცევითი ინციდენტები ან დროებითი დისტანციური სწავლება), სკოლამ არაერთხელ აჩვენა ორგანიზაციული მოქნილობა და ოპერატიულობა.
ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა გამოირჩევა ადაპტაციისა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს.

2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში (სამივე საფეხურზე) ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე მოსწავლეს აძლევს საშუალებას დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გაუმჯობესოს მიღწეევები. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა ახდენს ვალიდური განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, რომელიც ეფუძნება ესგ-ს პრინციპებს და საშუალებას იძლევა ობიექტური შეფასება განხორციელდეს სამივე საფეხურზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების იდიკატორები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტების შედეგებიდან, რომელიც შექმნილია კონკრეტული თემის/საკითხის ფარგლებში (მაგ: გეოგრაფია- „ბუნებრივი საფრთხეების საადაპტაციო ღონისძიებები-მიგრაცია და პრევენცია; ისტორია- „საზოგადოება და მმართველობის ფორმები XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში“; ჩვენი საქართველო- „კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები“ და სხვ.), რაც საშუალებას იძლევა სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს და იციან კონკრეტულად რა ცოდნა და უნარები მოეთხოვება მათ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის ჯგუფში შემავალ საგნებში წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები(განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ ასახავს საგნობრივ სამიზნე ცნებებს და აკავშირებს მათ მოსწავლის შესასრულებელ სამუშაოსთან, რაც უდავოდ უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასების **ობიექტურობასა** და **ვალიდურობას**, თუმცა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ნაჩვენები ქულობრივი განაწილების სპეციფიკა აკმაყოფილებს **სანდოობისა** და **ობიექტურობის** პრინციპებს(დეტალური აღწერა იხ.- N5 კომპონენტში-„მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს“); სკოლას დანერგილი აქვს მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია და დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან აუდიენციის შედეგად აშკარად გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული. მასწავლებლებს მიეცათ კონკრეტული რეკომენდაცია/მითითება თუ რას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება კათედრული სამუშაოების დროს, რათა სრულად უზრუნველყონ მოსწავლეთა შეფასება სანდოობის, გამჭირვალობის, ობიექტურობის, ვალიდურობისა და სამართლიანობის მიმართულებით. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შესაფასებელი რუბრიკები და დავალების შეფასების რეფლექსიები. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, ამას მოწმობს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურების და კლასების მიხედვით, კონკრეტულ თემებზე გაწერილი. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრას შექმნილი აქვს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ზუსტ შეფასებას, შესაძლებელს ხდის პროგრესის მონიტორინგს და ზრდის შეფასების პროცესში ყველა მხარის ნდობას. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს, დაგეგმვასა და განხორციელებას, ვერიფიკაციის სიხშირეს და პერიოდს, ვერიფიკაციის შედეგების დოკუმენტირების ფორმას-ანგარიშის მომზადება და ვერიფიკაციის შედეგების განზოგადოების წესს. შემუშავებული წესით სკოლა აცხადებს მზაობას, მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდეს დადგენილი რეგულაციების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება.

2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლამ ვიზიტის დროს, ადგილზე წარმოადგინა მოსწავლეების შემაჯამებელი და სადიაგნოსტიკო ნაშრომები.

2.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;**
- **საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;**
- **კათედრის ოქმები;**
- **კათედრის შემაჯამებელი ოქმები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **შეფასების ვერიფიკაცია;**
- **განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები;**
- **სკოლის ელექტრონული ჟურნალი;**
- **მოსწავლეთა პირადი საქმეები.**

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში - სკოლის სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინეობა, ონლაინ რესურსი. ტელესკოლის გაკვეთილები. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას სამივე საფეხურზე. კურიკულუმში წარმოდგენილია სხვადასხვა ციფრული სახის დამატებითი რესურსები რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რასაც სკოლა უზრუნველყობს მატერიალური ბაზით. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს - მაგ. იყენებენ ადაფტირებულ მხატვრულ ლიტერატურას სიტყვათა მარაგის და კითხვის უნარების გაუმჯობესების მიზნით. კათედრის მიერ წინასწარ შერჩეული საგანმანათლებლო ვიდეოები კი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას. მასწავლებლები, ასევე აღნიშნავენ, რომ აწარმოებენ დაკვირვებას თუ რა ტიპის რესურსი იწვევს მოსწავლეებში განსაკუთრებულ ინტერესს და თავადაც ქმნიან, ან იყენებენ არსებულ რესურსებს, მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იყენებენ როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შეთავაზებულ და კათედრის დონეზე შეთანხმებულ დამხმარე რესურსებს. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა, ფილმები, იუთუბი) **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი და მრავალფეროანი ელექტრონული რესურსების ბმულები, რომლიც გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი. სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, ძირითადად იენებენ **school.emis.ge** პლატფორმას, ხოლო საჭიროების მიხედვით დამატებით გამოიყენება სხვა ციფრული პლატფორმები. ეს ხელს უწყობს სწავლების მრავალფეროვნებას, მოსწავლეთა ჩართულობას და კურიკულუმში გათვალისწინებული მიზნების ეფექტიან მიღწევას.

	2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა აჩვენებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას. მაგალითად: ტელესკოლის გაკვეთილებს, ვირტუალურ ლაბორატორიებს, ანიმაციებს (სკოლის სამივე საფეხურზე) საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათრდრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. ამდენად, სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხმარე რესურსების შექმნა/კლასიფიკაცია და გამოყენება სამივე საფეხურზე. დამატებითი რესურსების სახით გამოიყენება როგორც სხვადასხვა ციფრული სახის მასალები, ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილი შემოქმედებითი ტიპის პროდუქტები,

	რომლის პრეზენტაცია ხორციელდება კლასის წინაშე რისი ნიმუშების ამსახველი მასალა კათედრამ წარმოადგინა. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. უცხოური ენების კათედრა შეიმუშავებს დამხმარე სასწავლო რესურსებს გასული სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე. ადგენს დამხმარე რესურსის სანდოობას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. განხილვის შემდეგ ხდება რესურსის ვალიდაცია. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შესწავლის საფუძველზე კურიკულუმებში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტით დადგენილ მისაღწევ შედეგებთან. **რჩევა:** სასწავლო წლის ბოლოს მნიშვნელოვანია კათედრის დონეზე, კოლეგების ჩართულობით შეირჩეს/გადაიხედოს და დამტკიცდეს ყველა ის სასწავლო მიზნის მქონე დამხმარე რესურსი, რაც ეფექტურად იქნება გამოყენებული შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო პროცესში; **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ადაპტირებული ტექსტებით, შესაბამისი განმავითარებელი მასალებით. სკოლას აქვს პრაქტიკა: კათედრის სხდომაზე განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო რესურსებს: ძირითად-გრიფირებულ და დამხმარე სახელმძღვანელოს, ტელესკოლის, სილქნეტის სკოლის თუ სხვა ვიდეო და ელ. რესურს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასასრულს, კათედრაზე აანალიზებენ და ერთმანეთთან შეთანხმებით არჩევენ ისეთ სასწავლო რესურსებს, რომლებიც არის სანდო და ვალიდური.

	2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას (ციფრულ პლატფორმებზე წვდომა სკოლაში) ,რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების მიზნობრივ განვითარებას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მიმართულებით ლაბორატორიული აღჭურვილობა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მიმართულებით, აქვთ საჭირო პრეპარატები. კათედრის წარმომადგენლების თქმით, ლაბორატორიის განახლების მიზნით დაწყებულია პროცესი - ახალი ინტეგრირებული ტიპის ლაბორატორის შესაძენად. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლა აღჭურვილია იმ ტიპის ტექნიკურ-მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, კომპიუტერებით, პროექტორებით, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას ციფრული რესურსები და სასწავლო პროცესი მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მატერიალური რესურსით - სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და შესაბამისი მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ზრუნავს მის კიდევ უფრო მეტად დახვეწაზე. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ რესურსი (სათამაშო ინვენტარი) და შეუძლიათ ერთდროულად რამოდენიმე კლასთან ჩაატარონ ხარისხიანი გაკვეთილი, ყველა მოსწავლე იყოს დატვირთული მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, ზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. აღსანიშნავია რომ სკოლას აქვს თანამედროვე კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი საშხაპეებით და გამოსაცვლელი ოთახებით. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას (ციფრულ პლატფორმებზე წვდომა სკოლაში) ,რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების მიზნობრივ განვითარებას. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ ქ.ზესტაფონის N2 საჯარო სკოლაში დასაქმებულია უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს 3 სპეც. მასწავლებელი და ერთი ასისტენტი. სკოლის პერსონალი შერჩეულია კანონმდებლობისა და სკოლის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. სსიპ ქ.ზესტაფონის N2 საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებიდან ყველას აქვს დადასტურებული კომპეტენცია და ყველა მათგანი არის კვალიფიციური კადრი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სსსმ მოსწავლის ასისტენტსაც ჩაბარებული ააქვს სპეცმასწავლებლის სასერთიფიკატო გამოცდა და გადის 60 კრედიტიან პროგრამას.

2.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;**
- **საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;**
- **შრომითი ხელშეკრულებები;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელშიც ასახულია თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგისა და შეფასების რგოლი.

სასწავლო პროცესის, კურიკულუმით განსაზღვრულ მონიტორინგს ახორციელებს საგნობრივი კათედრები, დირექცია.

არსებობს ურთიერთადასწრებების კულტურა,თანმაშრომლობა, შედეგების გაზიარება, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან უკუკავშირს და სწავლა-სწავლების პროცესში ხარისხის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას

.

2.3.1.1ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები განხორციელებული შემოქმედებითი დავალებელის რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით პოულობენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციაში. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი რეგულარულად იყენებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალას პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას.

2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგის მიზანს სამივე საფეხურზე წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით. თითოეული წარმოდგენილი ჯგუფი ახდენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზს, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართულნი არიან სკოლის დირექტორი, საგნობრივი კათედრები. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მონიტორინგსა და შეფასებას საკუთარ საქმიანობაზე, მასწავლებლები თავად ახორციელებენ. გაკვეთილზე ურთიერთდასწრებით მიღებული უკუკავშირის შედეგად ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, რომლებიც სამომავლოდ მათ ეხმარებათ გამოვლენილი პრობლემის გადაჭრაში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი.

2.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;**
- **ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი;'**
- **სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია (გაკვეთილზე დაკვირვებისფორმა);**

- **კათედრის ოქმები;**
- **მასწავლებელთა რეფლექსიები.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის შეფასება. კერძოდ, სკოლაში შექმნილია ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფი, ხდება გაკვეთილებზე დაკვირვება და შეფასება. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოადგენს მტკიცებას იმისა, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებს. სამივე საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერ განმავითარებელი კომენტარი. სკოლა სამივე საფეხურზე მიმართავს ცნებებზე ორიენტირებული განმსაზრვრელი და განმავითარებელი რუბრიკების გამოყენებას. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ხდება ინფორემაციას შეგროვება მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური ფაქტორების შესახებ. წარმოდგენილია მშობლებისათვის სპეციალური კითხვარი, რისი მიზანიცაა მიღებული ინფორმაციის გათვალისწინება სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში.

2.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლას გააჩნია გამოცდილება მონიტორინგის და შეფასების განხორციელებაში. რადგან მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის, ამისთვის ადმინისტრაცია თვლის, რომ ანგარიშვალდებულნი არიან სასკოლო საზოგადოების წინაშე: პერიოდულად აანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და აკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

2.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება განახორციელოს მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. ასევე, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას არაფორმალური განათლების ფარგლებშიც, განხორციელებულ პროექტებში მიღებული შედეგები და გავლენა კურიკულუმების განხორციელების ხარისხზე. განმავითარებელი შეფასების მონაცემები, როგორც მასწავლებლის საქმიანობის გაუმჯობესებისა და კურიკულუმის დაგეგმვის საფუძველი - მაგალითად, დაწყებითი კლასების კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი, რაც თითოეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის და კურიკულუმის შეფასების საშუალებას იძლევა, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის შედეგები.

2.3.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მოახდინოს დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

2.3.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ ქ.ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;**
- **საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;**
- **კათედრის ოქმები;**
- **პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;**
- **მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება;**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების მიზნით. მასწავლებლები ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, მოახდინონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია. მაგალითად, წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს ახალი სასწავლო წლის სამივე საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას.

2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა იგეგმება კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა, კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ჩართული იყოს ყველა მასწავლებელი. ამასთან, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ

ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ ქ.ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;**
- **საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;**
- **კათედრის ოქმები;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

Marine Janashvili 47001017513 Digitally signed by Marine Janashvili Date: 2026.04.07 20:29:41

თარიღი: 7.04. 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ჯანაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: